

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
ბიოლოგიის დეპარტამენტი



ნათელა ტეტემაძე

კოლხეთის პერკოლაციური ტორფნარების სფაგნუმის სახეობების
მორფოლოგიური-ანატომიური შესწავლა, კონსერვაცია და გონივრული
გამოყენება

(წარდგენილია ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი იზოლდა მაჭუტაძე
პროფესორი ალიოშა ბაკურიძე

ბათუმი -2021

მე, ნათელა ტეტემაძე, როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა ტეტემაძე: *ნ. ტეტემაძე*

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი 1. ლიტერატურის განხილვა -----	10
1.1. კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის ტორფნარები -----	10
1.2. სფაგნუმის სახეობების სისტემატიკური მახასიათებლები -----	13
1.3. ტორფნარის ეკოლოგიური გარემო -----	16
1.4. სფაგნუმი, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღების წყარო -----	20
1.5. სფაგნუმი როგორც, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ბიონდიკატორი -----	29
ექსპერიმენტული ნაწილი -----	34
თავი 2. კვლევის ობიექტი და მეთოდები -----	34
თავი 3. კვლევის შედეგების განხილვა -----	47
3.1. კოლხეთის დაბლობის გვარი სფაგნუმის სახეობების სისტემატიკური, ანატომიურ - მორფოლოგიური და ეკოლოგიური დახასიათება -----	47
3.1.1 სექცია <i>Sphagnum L.</i> -----	47
3.1.2 სექცია <i>Cuspidata</i> -----	58
3.1.3 სექცია <i>Subsecunda</i> -----	60
3.2 ეკოლოგიური მახასიათებლების შესწავლა -----	61
3.3 კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტიპის ტორფნარის სფაგნუმის სახეობების ქიმიური შედენილობის განსაზღვრა -----	62
3.4 სფაგნუმის ზოგიერთი სახეობის ანტიბაქტერიული მოქმედების შესწავლა -----	66
3.5 ჰაერის მძიმე მეტალებით დაჭუჭყიანების მონიტორინგი ბიონდიკატორის - „სფაგნუმის ჩანთის“ გამოყენებით -----	68
3.5.1 „სფაგნუმის ჩანთებით“ ქ. ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში მძიმე მეტალების შემცველობის მონიტორინგი -----	68
3.5.2 ქ. ბათუმის ბიომონიტორინგის კვლევის შედეგები -----	69
3.5.2.1 2016 წლის შემოდგომის კვლევის შედეგები -----	70
3.5.2.2 2017 წლის ზამთრის კვლევის შედეგები -----	75

3.5.2.3 2017 წლის გაზაფხულის კვლევის შედეგები	80
3.5.2.4 2017 წლის ზაფხულის კვლევის შედეგები	85
3.5.2.5 მიღებული შედეგების შედარება ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან	91
დასკვნები	94
რეკომენდაცია	96
მადლობა	96
ლიტერატურა	97

შესავალი

კოლხეთის სფაგნუმის ტორფნარები და ფლორა გამყინვარების დროინდელია (მესამეული პერიოდისა). სწორედ ამ დროიდანაა შემორჩენილი კოლხეთში სფაგნუმის სახეობები. ტორფის წარმომქნელ ყველა სხვა დანარჩენ სახეობათა შორის, სფაგნუმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კოლხეთი, როგორც განსაკუთრებული თვისებების მქონე და განსაკუთრებული ადგილის გამო მსოფლიოს ტორფნარებს შორის განიხილება როგორც სპეციალური ადგილი, სადაც ხარობს მსოფლიოს უნიკალური ცოცხალი სფაგნუმის პერკოლაციური ტორფნარები (Joosten et. All.2000:42, Joosten et. All.2002:43).

დღეს მთელი მსოფლიოს დღის წესრიგშია, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია სათბური გაზების ეგრეთ წოდებული „დეპო“-ს – ტორფნარების შენარჩუნებაზე, დეგრადირებულის აღდგენასა და მათ რაციონალურად გამოყენებაზე.

“ტორფნარების დაცვა და შენარჩუნება ეს არ არის ერთი, რომელიმე ცალკეული ქვეყნის საზრუნავი, არამედ, ეს ბრძოლაა სათბური გაზების ემისიასთან, წყლის ხარისხის გაუმჯობესებასთან და ველური ბუნების კონსერვაციის მხარდასაჭერად“ (დოქტორო ტერეზა კოფფი დიდი ბრიტანეთის გარემოსდაცვის მინისტრი, 2017 წ.).

ვინაიდან ადამიანი ბიოსფეროს ნაწილია, მასზე განუწყვეტლივ მოქმედებს გარემო ეკოტოქსიკოლოგიური ფაქტორები. დღეს, მსოფლიოში აქტუალური საკითხია ჰაერის ხარისხი და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით ბავშვის და მოზარდის ორგანიზმის ჩამოყალიბებაში ხელისშემშლელი და მავნე ფაქტორია მძიმე მეტალების დასაშვებ ნორმაზე მეტი კონცენტრაცია ჰაერში. არსებობს უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია რომლებიც გართიანდა ერთი მიზნის მისაღწევად - შეისწავლონ გარემო ფაქტორების ტოქსიკოლოგიური გავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე და გაატარონ პრევენციული ზომები ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. (Larsson K ...2012:51).

ჰაერის გაქუჩყიანების ანთროპოგენული წყაროები სამი სახეობისაა: სამრეწველო, გამათბობელი საშუალებები და ტრანსპორტი. ყველაზე ინტენსიური ფაქტორი ტრანსპორტის მიერ გამოყოფილი გამონაბოლქვია.

საქართველოში მწვავედ დგას დაქუჩყიანებული ჰაერის საკითხი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სატანსპორტო ნაკადი გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა გამონაბოლქვი, რაც აქტიური წყაროა ჰაერში მძიმე მეტალების გამოფრქვევის, საყურადგებოა ტყვია (Pb). ქალაქის ჰაერის ხარისხის განმსაზღვრაველი ერთ-ერთი ფაქტორია ვენტილაცია. აქტიურმა ურბანულმა განვითარებამ კერძოდ, მაღალსართულიანმა შენობების მასიურმა მომრავლებამ ხელი შეუწყო ქალაქში ტოქსიკოლოგიური მასების შეკავებას (Tetemadze N...2017:75).

ბოლითა და მავნე აირებით გაჯერებული ჰაერი ქალაქის თავზე ქმნის საფარის მსგავს ფენას, რომელსაც „ქუდებს“ უწოდებენ. ამ ფენის სიდიდე დამოკიდებულია საწარმოო ნარჩენების რაოდენობაზე და მისი გავრცელების სიჩქარეზე, ქალაქის ფართობსა და შენობების სიხშირეზე. ჩრდილოეთის ქალაქებში „ქუდები“ 200-300 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო სამხრეთის ქალაქებში, განსაკუთრებით ზაფხულში, - უფრო მაღლა, რაც გამოწვეულია ჰაერის ძლიერი გათბობით და სითბოს კონვექციური გაცვლით.

მძიმე მეტალები - ეს სახელწოდება მათ მიიღეს იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ დიდი ატომური მასა. მათ შეუძლიათ დაილექონ მცენარეულ და ცხოველურ ქსოვილებში, რის შედეგადაც ახდენენ ტოქსიკურ ზემოქმედებას. მძიმე მეტალებიდან ყველაზე სახიფათოა: Hg, Pb, As, Cd. გარემოს ტყვიით ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი. გამონაბოლქვი ტყვია განთავსდება ძვლის ქსოვილებში, აძევებს რა იქედან კალციუმს, ასევე კუნთებში, ღვიძლში, გულში (ლ.ხვედელიძე 2018:6)

უამრავმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსიკური ელემენტები, ისეთი, როგორცაა ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, კალა და სხვა, ჩაენაცვლებიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს: კალციუმს, თუთიას, რკინას და იწვევენ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც ვლინდება სხვადასხვა დაავადების სახით. ქიმიურმა დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა, ქრონიკული დაავადებები, ასევე მუტაგენური და კარცენოგენული

ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მეტად აქტუალურია ეკოპათოგენურ ფაქტორთა ზეგავლენის შესწავლა სამეცნიერო კვლევების საშუალებით.

აქტიურად შეისწავლება ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეული მძიმე მეტალების წრებრუნვა გარემოში. ნალექის საშუალებით ხვდებიან ნიადაგში და ასევე ატმოსფეროდან პირდაპირი კავშირით სხვადასხვა მცენარეში (ნაყოფში), საიდანაც იოლად ხვდება ადამიანის ორგანიზმში (Khan Z... 2016:5).

სადისეტაციო თემის აქტუალობა. კოლხეთის სფაგნუმისანი ტორფნარები და ფლორა გამყინვარების დროინდელი (მესამეული პერიოდი) რელიქტური ეკოსისტემაა. გამყინვარება კოლხეთში ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო. ზოგიერთი მყინვარი ეშვებოდა ველამდე. მყინვართა უკან დაწევამ თან გაიყოლია მრავალი მცენარე. სწორედ ამ დროიდანაა შემორჩენილი კოლხეთში, როგორც მთაში, ისე ბარად, ჩრდილოეთის ფლორის ყვავილოვანი მცენარე (დროზერა) და სფაგნუმის სახეობები (მაჭუტაძე, 2003:1 Флеров, 1929:12).

კოლხეთი მსოფლიოში ერთადერთი ადგილია თბილ ზონაში, სადაც გავრცელებულია ომბროტროფული ცოცხალი სფაგნუმისანი ტორფნარები. ამ ტორფნარებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტროპიკული და ბორეალური ზონის ტორფნარებს შორის. კოლხეთი, განსაკუთრებული თვისებების და განსაკუთრებული მდებარეობის გამო მსოფლიოს ტორფნარებს შორის განიხილება როგორც სპეციალური ადგილი, სადაც ხარობს მსოფლიოს უნიკალური ცოცხალი სფაგნუმისანი პერკოლაციური ტორფნარები (Joosten, 2000:42, Joosten&Clarke, 2002:43).

დღეს მთელი მსოფლიოს დღის წესრიგშია, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, რაც ორიენტირებულია ტორფნარების შენარჩუნებისკენ და დეგრადირებულის აღდგენისკენ. ტორფის წარმომქნელ ყველა სხვა დანარჩენ სახეობათა შორის, სფაგნუმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი ედიფიკატორია. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ტორფნარებისა დაცულია, მაინც განიცდიან ზემოქმედებას ინფრასტრუქტურული პროექტებიდან. კოლხეთის დაბლობის სფაგნუმისანი ტორფნარების ტორფის წარმომქმნელი ძირითადი

სფაგნუმის სახეობებია და ამიტომ განსაკუთრებული როლი აკისრია თითოეულ სახეობას ტორფნარის ფუნქციონირებაში.

ბოლო პერიოდში ბიოსფეროს (ჰაერის, ნიადაგის და წყლის) დაბინძურება იძენს გლობალური ეკოლოგიური საფრთხის ხასიათს. ჭარბტენიანი ჰაბიტატები და წყალსაცავები წარმოადგენს დამაბინძურებლების ერთ-ერთ მთავარ „საწყობს“, რადგანაც სამრეწველო და სამეურნეო ჩანაღვრები შეიცავენ ტოქსიკური ნივთიერებების ფართო სპექტრს, მათ შორის: სასუქებს, საღებავებს, პესტიციდებს, მძიმე მეტალებს, რადიონუკლიდებს და სხვა. წყლის და ჰაერის ბიოლოგიური კონტროლი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც აქტიურად ვითარდება ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით სასარგებლო წიაღისეულის (ოქროს) მოპოვება (საყდრისი), ასევე სასოფლო სამეურნეო სავარგულებში პესტიციდების გამოყენებამ (მათ შორის ცნობილი ფაქტია რომ, საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა), გაზარდა ბიოსფეროს დაჭუჭყიანების ალბათობა სხვადასხვა დამაბინძურებლებით, განსაკუთრებული მძიმე მეტალებით (Tetemadze et. al., 2017:75).

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია კობეთის დაბლობის სფაგნუმის ტორფნარების სფაგნუმის სახეობების ბიოლოგიური მახასიათებლებისა და ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და რეკომენდაციები გონივრული გამოყენებისათვის.

მიზნის მისაღწევად კვლევა განხორციელდა შემდეგი ამოცანების მიხედვით:

1. კობეთის დაბლობის პერკოლაციური სფაგნუმის ტორფნარებზე გავრცელებული სფაგნუმის სახეობების სისტემატიკური, მორფოლოგიური, ანატომიური მახასიათებლებისა და ეკოლოგიური გარემოს შესწავლა;
2. სფაგნუმის სახეობების: *Sph. Palustre L.*, *Sph. Papillosum Lindb.*, *Sph. Rubelum Wilson*, *Sph. Imbricatum ssp. Austinii*, *Sph. Cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*, ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა;
3. სფაგნუმის სახეობების: *Sph. Palustre L.*, *Sph. Papillosum Lindb.*, *Sph. Rubelum Wilson*, *Sph. Imbricatum ssp. Austinii*, *Sph. Cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*, წყლიანი

ექსტრაქტების, წვენების და პოლისაქარიდების კვლევა ანტიბაქტერიულ მოქმედებაზე.

4. ე.წ. „სფაგნუმის ჩანთების“ დამზადება და განთავსება ქ.ბათუმის წინასწარ შერჩეულ ტრანსპორტით გადატვირთულ ტერიტორიებზე, ატმოსფერულ ჰაერში მძიმე მეტალების შემცველობის განსაზღვრის მიზნით და „სფაგნუმის ჩანთების“ ქიმიური ანალიზი.

სამეცნიერო სიახლეა ის, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, საქართველოში პირველად მოხდა კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტორფნარების სფაგნუმის 9 სახეობის მორფოლოგიური, ანატომიური და ეკოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ანატომიური მახასიათებლების დასურათება), სფაგნუმის 5 სახეობის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და ე.წ. „სფაგნუმის ჩანთების“, როგორც ბიონდიკატორის გამოყენება, ატმოსფერულ ჰაერში მძიმე მეტალების აქტიური მონიტორინგისათვის.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგებს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ანატომიურ-მორფოლოგიური და ეკოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრამ გააიოლა სიმილარული სახეობების იდენტიფიკაცია, ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის და ანტიბაქტერიული მოქმედების შესწავლის შედეგებმა თვალსაჩინო გახადა სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივა და შემდგომი შესწავლის აუცილებლობა, „სფაგნუმის ჩანთის“, როგორც ჰაერის მძიმე მეტალებით დაჭუჭყიანების მონიტორინგისათვის იაფი საშუალების გამოყენებამ განსაზღვრა მისი დანერგვის მიზანშეწონილობა სხვადასხვა ქალაქის სისტემატიური და ფართომასშტაბიანი კვლევებისთვის.

კვლევის შედეგების აპრობაცია. კვლევის შედეგები წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო და ადგილობრივ კომფერენციებზე:

1. მწვანე საშუალებები – მწვანე ტექნოლოგიებით – ჯანმრთელი სიცოცხლისათვის, თბილისი, 2019 წლის სექტემბერი, კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტორფნარების სფაგნუმის სახეობებში მჟავების შემცველობის თავისებურებები;

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ცენტრი, ბათუმი 2019, შრომები V, ISSN 2449-2507, ტყვია ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში.
3. აგროსიმ 2018 სიმპოზიუმი, იაპორინა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, 2018 წლის ოქტომბერი, ACTIVE BIOMONITORING OF AIR POLLUTION LEVELS USING THE BIOINDICATOR–SPHAGNUM BAG;
4. ჭარბტებიანი ჰაბიტატების მცენარეების გამოყენების მე-2 საერთაშორისო კონფერენცია, გერმანია, გრეიფსვალდი, 2017 წლის ოქტომბერი, კოლხეთის დაბლობის გენერალური გეგმა -გრძელვადიანი განვითარება და კონსერვაცია;
5. მომავლის ტექნოლოგიები და სოცოცხლისხარისხი, ბათუმი, 2017 წლის სექტემბერი, სფაგნუმის სახეობები როგორც ატმოსფერული ჰაერის ბიოინდიკატორები;
6. ბიომრავალფეროვნება და საქართველო, თბილისი, საქართველოს ბოტანიკური ბაღი, 2017 წლის მაისი, კოლხეთის დაბლობის ტორფნარებში სფაგნუმის სახეობების გავრცელების თავისებურება;
7. შავი ზღვის მდინარეთა აუზების ეკოლოგია, ბათუმი, 2016 წლის ოქტომბერი, ანთროპოგენური ზეგავლენა კოლხეთის დაბლობის სანაპირო ზოლის ჰაბიტატებზე;

სამეცნიერო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 4 სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ხოლო, 1 სტატია მიღებულია გამოსაქვეყნებლად.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია შედგება 111 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდისაგან და მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ექსპერიმენტულ ნაწილს, დასკვნებს, ლიტერატურის ჩამონათვალს. ტექსტში 6 რუკა, ჩართულია 21 ცხრილი, 11 დიაგრამა და 29 სურათი.

თავი 1. ლიტერატურის განხილვა

1.1 კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის ტორფნარები

კოლხეთი განსაკუთრებული რეგიონია მსოფლიოში ომბროტროფული ტორფნარების არსებობისათვის. აქ *Sphagnum palustre* იზრდება ომბროტროფულ გარემოში, მაშინ როცა მთელს მსოფლიოში სხვაგან იგი დამახასიათებელია მეზოტროფული ანუ მინეროტროფული ადგილებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *Sphagnum austinii* (*Sph. Imbricatum*), სფაგნუმი რომელიც ისპანისა და იმნათის ტორფნარების ტორფის წარმომქმნელი მთავარი სახეობაა. 800 წლის წინ ჩვ.წ.ა. იგი მასიურად იყო გავრცელებული ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, რომელიც ქმნის გაუხრწნელ სფაგნუმის ტორფს (“თეთრი ტორფი”). დღეისათვის მსოფლიოში *Sphagnum imbricatum* განიხილება, როგორც გარემოს გაჭუჭყიანებისადმი ყველაზე მგრძობიარე ქრობადი სახეობა: გაჭუჭყიანება, კლიმატის ცვლილება, ხანძრები, ეუტროფიკაცია. როგორც დოქტუროვსკის შრომებიდან ირკვევა ეს სახეობა ისპანი I-ში და იმნათშიც, ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ დრენაჟმა, ტორფის მოპოვებამ და ხანძრებმა მისი არეალის შემცირება გამოიწვია (Botch & Masing, 1983:23, მაჭუტაძე, 2003:1, მაჭუტაძე და სხვ., 2009:2).

კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის ტორფნარები ესაა ცოცხალი სფაგნუმის ტორფნარები, სადაც ტორფის დაგროვების პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

კოლხეთის ეროვნულ პარკში საჭიროა განვასხვავოთ ორი ტიპის ტორფნარი: „ფენის“ (fen) ტიპის - მინეროტროფული ტიპის ტორფნარი, რომელიც იკვებება ძირითადად მინერალებით მდიდარი გრუნტის წყლებით. ის არ წარმოქმნის გუმბათს. ასეთი ტორფნარებია: ჭურია, ნაბადა და ანაკლია; და „გუმბათისებრი“ (bog) - ომბროტროფული ტიპის ტორფნარი საზრდოობს მხოლოდ და მხოლოდ წვიმის წყლებით და აქვს გუმბათის ფორმა. ასეთი ტიპის ტორფნარია იმნათი და გრიგოლეთი.

გასათვალისწინებელია, რომ ტორფნარებისთვის ჰიდროლოგიური ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, წყალი კი გადამწყვეტი კომპონენტი, რადგან მხოლოდ წყლის

სათანადო მუდმივად მაღალი დონე ქმნის ტორფის აკუმულაციის/ზრდის საშუალებას.

პერკოლაციური (შელწევადი) ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარები. ტორფნარები მხოლოდ და მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით საზრდოობენ. თითქმის გაუხრწნელი მცენარეებისაგან წარმოქმნილ ფოროვან ტორფში ტორფი პერკოლაციური ანუ შელწევადია. წყალი შეუფერხებლად ჟონავს მთელს ტორფნარში ყველა მიმართულებით. ტორფნარს ამობურცული გუმბათის ფორმა აქვს, რაც მის ომბროგენეტიკურობას განაპირობებს.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე პერკოლაციური ტიპის შემდეგი ტორფნარებია (რუკა N1):


იმნათის ტორფნარი. ტორფნარი პალიასტომის ტბას ესაზღვრება აღმოსავლეთით ქ. ფოთიდან 5 კმ-ის მანძილზე. იგი ყოფილი ზღვის ლაგუნაზე ჩამოყალიბდა და ყველაზე დიდი სფაგნუმიანი ტორფნარია კოლხეთში. მისი ფართობი 5 000 ჰა-ია, რაც საქართველოს ტორფნარების 11%-ს შეადგენს. ტორფნარში ტორფი სფაგნუმიანია, დიდი და მაღალი ელასტიურობის მქონე ფორებით. სწორედ ტორფის მაღალი ელასტიურობა განაპირობებს იმას, რომ აქ ხრწნა არ მიმდინარეობს. ტორფში უმაღლესი მცენარეების (ხერხა, ჩრდილოეთის ისლი) ფესვები ქმნიან ე.წ. “ჩონჩხს” სფაგნუმისათვის. იქმნება ახალი ელასტიური ფორები, რაც ქობულეთის დაცული ტერიტორიების - ისპანის ტორფნარების მსგავსად, იმნათის ტორფნარს პერკოლაციურს ხდის. ელასტიურობა და ხრწნის (ჰუმიკაციის) დაბალი უნარი იწვევს ტორფნარის რხევის სუნთქვით მაღალ უნარს (“Mooratmung”) (Joosten, 2000:42 , Joosten&Clarke, 2002:43). ტორფნარის ზედაპირი გვალვიან პერიოდში დაბლა იწევს, ხოლო ძლიერი წვიმებისას კი მოცულობაში მატულობს ისე, რომ ტორფსა და ზედაპირულ მცენარეულ საფარს შორის წყლის დონე მუდმივია და არასოდეს იცვლება. იმნათის ტორფნარზე დომინანტობს სფაგნუმის შემდეგი სახეობები: აუსტინის სფაგნუმი *Sphagnum austinii*, მაგელანის სფაგნუმი-*Sphagnum magellanicum*, ტიხრებიანი სფაგნუმი-*Sphagnum papillosum*, წითელი სფაგნუმი-*Sphagnum rubellum*. სფაგნუმის სახეობებთან ერთად თანასაზოგადოებაში ჩრდილოეთის ისლის დომინანტობა და მისი დიდი ზომები

ერთი მხრივ ხელს ეწყობს სფაგნუმიან ტორფნარზე აორთქლებას (ევაპოტრასპირაციას) და მეორეს მხრივ იმას, რომ გვალვიან პერიოდში ტორფნარში წყალის დანაკარგი არ ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადგილი ექნებოდა ტორფის გახრწნას, ფორების გაქრობას და ტორფნარის ელასტიურობის რღვევას.

ფიჩორის ტორფნარი. ფიჩორის ტორფნარი იმნათის ტორფნარის ჩრდილოეთით მდ. ფიჩორას მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

გრიგოლეთის ტორფნარი. გრიგოლეთის ტორფნარი მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის გურიის მხარეს. ის ფლორისტული შემადგენლობა, რომლითაც ხასიათდება გრიგოლეთის ტორფნარი, მაჩვენებელია იმისა, რომ თუ შეწყდება ყოველგვარი ანთროპოგენური ფაქტორი ტორფნარზე, კოლხეთი გახდება მსოფლიოს მესამე პერკოლაციური ტიპის ტორფნარის სამშობლო. გრიგოლეთის ტორფნარი ე.წ. „ჩანასახოვანი“ პერკოლაციური ტიპის ტორფნარს წარმოადგენს.

პერკოლაციური ტიპის ტორფნარები ზურმუხტის ქსელით და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის (EUNIS) დაცულ ჰაბიტატებს წარმოადგენენ.



რუკა.1. კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარები.

ისპანი 1 & ისპანი 2 ტორფნარი. ცოცხალი სფაგნუმისანი პერკოლაციური ტიპის ტორფნარი - „ისპანი 2“. თითქმის გაუხრწნელი მცენარეებისაგან წარმოქმნილ ფოროვან ტორფმარში ტორფი პერკოლაციური ანუ შეღწევადია. წყალი შეუფერხებლად ჟონავს მთელს ტორფნარში ყველა მიმართულებით. როდესაც წვიმს, წყლის ახალი მასები აწვება ტორფს, ხოლო ძველი კი გამოედინება, ისე მოქმედებს როგორც წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. ტორფნარში წყალი მუდმივად ერთ დონეზეა მხოლოდ ხშირი და უხვი წვიმების წყალობით. არავითარი კავშირი არა აქვს გრუნტის წყალთან. გუმბათის წარმომქმნელი სფაგნუმის სახეობები მსოფლიოში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევიან (32 სმ წლის განმავლობაში), შედეგად ტორფის აკუმულაციის პროცესიც ყველაზე მაღალია მსოფლიოში და იგი წელიწადში 4 მმ-ს შეადგენს.

პერკოლაციური სფაგნუმისანი ტორფნარი - „ისპანი 1“ წარმოადგენს ქობულეთის აღკვეთილს, რომელიც წლების წინ გაყვანილი სადრენაჟე არხების გამო ნაწილობრივ დეგრადირებულია. დღეისათვის ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ ტორფნარი კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. ქობულეთის აღკვეთილში ხარობს ფლორის ყველა ის სახეობა, რომელიც ქობულეთის ნაკრძალშია წარმოდგენილი, გარდა სამი სახეობისა, როგორცაა: კავკასიის ენდემი - კავკასიის რინხოსპორა (*Rhynchospora caucasica*), გლობალური წითელი ნუსხის სახეობები მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*) და - ხერხა (*Cladium mariscus*).

1.2. სფაგნუმის სახეობების სისტემატიკური მახასიათებლები

სფაგნუმი ხავსებს შორის განსაკუთრებულია. ცნობილია სფაგნუმის 300 სახეობა, რომელიც დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 1%-ს წარმოადგენს. სფაგნუმის, როგორც მკვდარი ასევე ცოცხალი ქსოვილი გაცილებით დიდი რაოდენობით ნახშირბადს შეიცავს, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარის სახეობა. იზრდება მჟავე, წყლიან და ნუტრიენტებით ღარიბ გარემოში.

მორფოლოგიურად ღეროფოთლიანი ხავსია, რომლის ფოთოლი ერთუჯრედიანი სისქისაა. კუტიკულის გარეშე. მცენარეს არა აქვს ფესვი.

- მას ორი სახის უჯრედები აქვს ცოცხალი - ქლოროფილის შემცველი, რომლებიც ფოტოსინთეზს ახორციელებენ.
- მკვდარი, რომელსაც ჰიალინურს უწოდებენ. ჰიალინურში წყალი გროვდება. ფოთოლი გამომშრობისას თეთრდება და აქედან წარმოდგება სახელწოდება “თეთრი ხავსი”. როდესაც წყალს კარგავს ისვენებს და წყლის შეწოვის შემდეგ ცოცხლდება.

რიგი – *Sphagnales*

კლასი *Sphagnopsida* რომელიც მოიცავს ერთ ოჯახს *Sphagnaceae* და ერთ გვარს *Sphagnum*. გვარის შიგნით სახეობებს ახასიათებს გარკვეული მორფოლოგიური ნიშნების ჯგუფი, რომელთა მიხედვით სახეობები შეიძლება დავაჯგუფოდ სუბგვარებად - სექციებად (subgenera). გვარი სფაგნუმის სახეობები დაყოფილია 10 სექციად ესენია: *Sphagnum*, *Squarrosa*, *Insulosa*, *Polyclada*, *Hemitheca*, *Subsecunda*, *Cuspidata*, *Mollusca*, *Rigida* (Daniels et al.,1985:33).

კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული გვარი სფაგნუმის 9 სახეობა ჯგუფდება 4 სექციად:

სექცია *Sphagnum* – *Sphagnum austini* Sull. (*Sphagnum imbricatum* ssp. *Austini*) (სურ.N1), *Sph. Magellanicum* Brid., *Sph. Palustre* L. *Sph. Papillosum* Lindb.

სექცია *Acutifolia* – *Sph. Capillifolium* (Ehrh.) Hedw., *Sph. Rubellum* Wilson.

სექცია *Cuspidata* – *Sph. Cuspidatum* Ehrh.ex Hoffm. *Sph. Fallax* H. Klinggr.

სექცია *Subsecunda* - *Sph. Denticulatum* Brid.


არსებობს ორი ტიპის სფაგნუმი:

ა. სფაგნუმი, რომელიც მონაწილეობს გუმბათის წარმოქმნაში, როგორცაა: *Sphagnum imbricatum*, *Sphagnum papillosum*, *Sphagnum rubelum*.

ბ. სფაგნუმი, რომელიც არ მონაწილეობს გუმბათის წარმოქმნაში ესაა: *Sphagnum palustre* (სურ.N2), *Sphagnum cuspidatum*. ეს სახეობები ტორფნარების განაპირასაა.



სურ.1. *Sphagnum austinii* კომპაქტური თანასაზოგადოება



სურ. 2. *Sphnum palustre*

1.3. ტორფნარის ეკოლოგიური გარემო

ცოცხალ სფაგნუმიანი ტორფნარებზე განსაკუთრებული ექსტრემალური პირობებია, რის გამოც მცენარეები საჭიროებენ განსაკუთრებულ ადაპტაციას აქ გამეფებულ მკაცრ პირობებთან;

- წყლის მაღალი დონე და შესაბამისად უჟანგბადო წყლიანი გარემო;

- მუდმივი კენწრული ზრდა. ეს კარგად ჩანს მწერიჭამია დროზერას მაგალითზე. ის იზრდება რა სფაგნუმზე განუწყვეტელი კენწრული ზრდა ახასიათებს, ცდილობს არ ჩამორჩეს სფაგნუმს. გაზაფხულზე იძლევა ყლორტს, რომელიც ამოდის რა სფაგნუმის ზედაპირზე შლის ფოთლების როზეტს. ყოველ მომდევნო წელს გასული წლის ფოთლებს შორის ჩასახული კვირტიდან ვითარდება ვერტიკალური ყლორტი, ისიც ამოდის სფაგნუმის ხალიჩის ზედაპირზე და იძლევა ფოთლების ახალ როზეტს. სფაგნუმის ტორფნარზე მოზარდი სხვა სახეობებისაგან განსხვავებით დროზერას არ ახასიათებს ქსეროფორფიზმი; ოსმოსური წნევა მუდამ დაბლაა მიმართული, ანატომიური აგებულება მეზოფილურია და ბაგეები მუდამ ღიაა.

- მუდმივი მჟავიანობა და ტოქსიკური არე (Augustin et al., 2001:19).

ნუტრიენტების სიმწირე, რომელსაც უნდა შეეგუოს აქ მოზარდი მცენარე. განსაკუთრებულია ამ მხრივ ხავსები, რომელთაც კათიონების გაცვლის მექანიზმი გააჩნიათ, რაც აძლევს მათ უნარს რათა წყალში შეივსონ მათთვის ნაკლები კათიონები ნახევრადდაშლილი წყალბადის იონისაგან. ეს მექანიზმი საუკეთესოდაა განვითარებული სფაგნუმში (Augustin et al., 2001:19). ჰიალინურ უჯრედებში სიმბიოზურ დამოკიდებულებებშია მეთილოტროპული ბაქტერიები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ, ამ გვარის წარმომადგენლების „ნახშირბადმოყვარეობას“. სფაგნუმიანი ტორფნარი წარმოადგენს მეთანის - ბუნებრივი აირის ძირითად წყაროს. სხვა ტიპის ტორფნარებისაგან განსხვავებით აქ მეთანის ემისიის დაბალი მაჩვენებელია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია მეთანოტროფიკული (ე.ი მეთანის მომხმარებელი) ბაქტერიების არსებობით სფაგნუმში. მეთანოტროფული ბაქტერიების არსებობისა და ცხოველქმედებისთვის სფაგნუმიან ტორფნარში ოპტიმალური პირობებია: სადაც მჟავე გარემოა - pH=4,5-5,5 , ტემპერატურა 15-20 გრადუსია. გადამწყვეტი ფაქტორია

მარილის დაბალი კონცენტრაცია. ევროპისა და რუსეთის ტორფნარებში აღმოჩენილია და შესწავლილია მეთანოტროფული ბაქტერიების ორი სახეობა: *Methylocella palustris* და *Methylocapsa acidophila*. (Dedysh, 2002:35). ფილანდიელმა მეცნიერებმა სფაგნუმის 23 სახეობაში დაადასტურეს მეთანოტროფული ბაქტერიების სიმბიოზი (Larmola et al., 2010:30). რაც იმას ნიშნავს რომ, სფაგნუმში ნახშირბადის 10-30% დაგროვება ამ სიმბიოზური დამოკიდებულებითაა განპირობებული. სფაგნუმი ადსორბირებს ატმოსფერულ აზოტს ციანობიონტის სიმბიოზური თანაცხოვრების შედეგად (ციანობაქტერია). სფაგნუმის ფოთლების მიერ შთანთქმული აზოტი N_2 გამოიყენება ამიაკში NH_4^+ , რაც მცენარის მიერ გარდაიქმნება ამინომჟავად. ზოგადად სფაგნუმი შეგუებულია ნიტრატებით დაბალ გარემოს და უფრო ეფექტურად გამოიყენებს მათ, ვიდრე ჭურჭლოვანი მცენარეები (ხავსები მთელი ზედაპირით ადსორბირებს ნიტრატებს, ხოლო ჭურჭლოვანი მცენარეები მხოლოდ ფესვებით) ამიტომ სფაგნუმი წარმოქმნის ნუტრიენტებით ღარიბ და ხრწნისადმი მდგრად გარემოს.

სფაგნუმს ზრდისთვის სჭირდება მიკრონუტრიენტები, უმთავრესად კი კალციუმი. სფაგნუმის მიერ კალციუმის ასიმილაცია ხდება მემბრანებში იონთა ცვლის მექანიზმით. ნიადაგის წყალში არსებული მეტალის იონები იცვლება, ჰიალინურ უჯრედში არსებულ წყალბადის იონებზე უჯრედის კედლის გავლით. შედეგად გარემოში გროვდება წყალბადის იონები და წარმოიქმნება მჟავა გარემო. ასევე, ხავსის მიკრობული ხრწნის მეტაბოლიტები ანუ, ორგანული მჟავებიც გროვდება წყალში. ეს ორი პროცესი ზრდის ტორფნარის გუმბათის წყლის მჟავიანობას. ტიპური pH მერყეობს 3,6 – 5,6 (Clymo et al., 1984:28). მჟავიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სფაგნუმით დომინანტი ტორფნარისთვის, რითაც ის განსხვავდება სხვა ჭარბტენიანი ჰაბიტატებისგან. სწორედ ეს დაგროვილი ორგანული მჟავების კომპლექსური ნარევი, წოდებულია ჰუმუსურ მჟავად. ნუტრიენტებით ღარიბი, მაღალი მჟავიანობა და მუდმივად ტენიანი გარემო *Sphagnum*-ის დომინანტობით ტორფნარში აფერხებს სხვა სახეობის მცენარეების ზრდას .

ანატომიურად განუვითარდათ აერენქიმულ ქსოვილთა სისტემა, რათა სფაგნუმის ზედა ზედაპირიდან მოახდინონ ჟანგბადის მიწოდება (Joosten&Couwenberg et.al.,2000:41).

შეზღუდულმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ ტორფნარები განსაკუთრებული ცივი კლიმატით გამოირჩევიან ვიდრე მათი შემოგარენია. ამიტომაცაა კოლხეთის რეფუგიუმში კარგად შემონახული როგორც გამყინვარების დროინდელი, როგორცაა: *Molinia litoralis*, *Sphagnum*-ის სახეობები, *Rhynchospora alba*, *Drosera rotundifolia*, *Menyanthes trifoliata*, *Calluna vulgaris* ისე დეზუნქციური რელიქტები, როგორცაა: სამეფო გვიმრა - *Osmunda regalis*).

ამ ძალზე მძიმე მკაცრი გარემო პირობების გამო ტორფნარები ფლორისტული სახეობრივი შემადგენლობის სიმცირით გამოირჩევა, ვიდრე ამავე ფლორისტული ოლქის სხვა ჰაბიტატი (Joosten&Couwenberg at al.,2000:41). სფაგნუმის ჰიალინური უჯრედები მექანიკურ მხარდაჭერას სიცოცხლეს და როგორც წყლის გუმბათის წარმომქნელი სახეობები, როგორც უფრო მშრალი პირობებისა ჰიალინური უჯრედები გაციებით დიდი ზომისაა ვიდრე ჰიალინური უჯრედები იმ სახეობებისა, რომლებიც გაცილებით წყლიან გარემოში სახლობენ. სასიცოცხლო ფორმები დამოკიდებულია წყლის დონეზე ანუ ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე, ზოგი სახეობა ვერ იტანს ჭარბწყლიან გარემოს, ზოგი მშრალ გარემოსაა შეგუებული სახლობენ გუმბათზე და მესამე შუალედურ გარემოში სახლობს.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სახეობების გავრცელების ტორფის ქიმიური მახასიათებლები და მასში წყლის შემცველობა. ამ თვისებებიდან გამომდინარე კოლხეთის სფაგნუმთან ტორფნარებს ჩამოუყალიბდათ განსაკუთრებული ეკოსისტემები (კოლხეთის და სხვ., 2019:4, ქობულეთის და სხვ., 2019:6).

მომმარაგებელი სერვისები. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ჭარბტენიანი ჰაბიტატები განსაკუთრებულ მომმარაგებელ სერვისებს ქმნიან. ასეთი სერვისებია: საკვები რესურსები (მცენარე, ხილი, კენკრა, თევზი, ფრინველი და სხვ.) ადამიანისა და ცხოველებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით და ხე-ტყით (როგორც სათბობი და სამშენებლო მასალა) მომარაგება.

სამკურნალო დანიშნულების მქონე გენეტიკური რესურსები და მედიცინაში გამოყენება.

მარეგულირებელი სერვისები. კოლხეთის სფაგნუმთან ტორფნარებს, უნიკალური თვისების გამო, რომელიც გამოიხატება განამარხებულ ტორფში ნახშირბადის განსაკუთრებით მაღალი აკუმულაციის უნარში, უდიდესი როლი უჭირავთ, როგორც კოლხეთის კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ეკოსისტემებს. ტორფნარების კონსერვაცია ეკონომიკურად ეფექტიანია სათბური გაზების ემისიის შესამცირებლად. გამოთვლილია, რომ ბუნებრივი სახით ტორფნარების კონსერვაცია და აღდგენა შეამცირებს 4 ტონიდან 1.5 ტონამდე ნახშირორჟანგის ემისიას წელიწადში ჰექტარზე.

კლიმატსა და ტორფნარებს შორის ორმხრივი დამოკიდებულებაა: კოლხეთის კლიმატი რეაგირებს ტორფნარებზე და თვით ტორფნარები კი ხელს უწყობენ კოლხეთის კლიმატის რეგულაციას. ტორფნარებში დაგროვილი წყლის დიდი რაოდენობა კოლხეთის კლიმატს აბალანსირებს. თბილ და მშრალ ამინდებში წყლის მუდმივი ევაპოტრანსპირაციის გამო ერთგვარ გამაგრილებელ მოწყობილობებს წარმოადგენენ.

კოლხეთის ეროვნული პარკის სფაგნუმთან ტორფნარებს, ტორფისათვის დამახასიათებელი ფაშარი ღრუბლისებური აგებულებისა და უნიკალური მცენარეულობის გამო უნარი აქვთ წყლის დიდი რაოდენობის შეწოვისა და შენახვისა. ტორფნარებზე დომინანტ სფაგნუმის სახეობებს თავის წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი რაოდენობის წყლის შეწოვის უნარი გააჩნიათ. წყლის გაცემა კი თანდათანობით ხდება ტორფის ზედა ფენების ზეწოლის შედეგად, რაც წყლის რეზერვუარის ეფექტს იძლევა. ამ თვისებიდან გამომდინარე ტორფნარებს უდიდესი როლი მიუძღვით კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაციასა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვისაგან თავიდან აცილებაში.

საკვები ნივთიერებების (ბიოგენების) ბალანსი. კოლხეთის სფაგნუმთან ტორფნარებს უნარი შესწევთ როგორც ზედაპირული, ისე გრუნტული წყლებიდან შეისრუტონ ჭარბი საკვები ნივთიერებები და დამაჭუჭყიანებლები, შეინახონ და მუდმივად განათავსონ ტორფის ფენებში. ამით ისინი შესანიშნავ ფილტრატორებს წარმოადგენენ. ეს ნივთიერებები გროვდება ტორფის დანალექ მზარდ ფენებში, არა

მარტო ნახშირბადის, არამედ სხვა საკვები ნივთიერებების სახით, როგორცაა აზოტისა და ფოსფორის ნაერთები, მიკროელემენტები, ტყვია, მარგანეცი და სხვა დამბინძურებლები. ამ ბუნებრივი თვისებების გამო ტორფნარები არა მარტო არეგულირებენ საკვები ნივთიერებების ბალანსს, არამედ უზრუნველყოფენ წყლის ხარისხის სისუფთავეს. ამიტომ მას „ლანდშაფტის თირკმლებს“ უწოდებენ. დამბინძურებლებს იტოვებენ ტორფის ფენებში და სუფთა წყალი ჩაედინება ზღვაში, ტბებსა და მდინარეებში.

1.4. სფაგნუმი, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღების წყარო

სფაგნუმის გამოყენებას მედიცინაში, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სფაგნუმი, იგივე ტორფის ხავსი, ხალხურ მედიცინაში ცნობილია მე-11 საუკუნიდან. 1880-იან წლებში ევროპაში სფაგნუმის გამოყენება დაიწყო, როგორც ჭრილობის შესახვევი საშუალებისა. აღნიშნული დანიშნულებით განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა პირველ და მეორე მსოფლიო ომის დროს. სფაგნუმის ნახარშს ჩინეთში იყენებდნენ თვალის დაავადების სამკურნალოდ. ამერიკაში, ინგლისში, ირლანდიაში და შოტლანდიაში კი ფურუნკულოზის სამკურნალოდ. რუსეთში სფაგნუმს გამოიყენებდნენ ინფექციური ჭრილობების სახვევად, ასევე ართრიტის, რევმატიზმის, რადიკულიტის და ნაწლავური დავადებების დროს. გასული საუკუნის 90-იან წლებში სფაგნუმის საფუძველზე შემუშავებული იყო სხვადასხვა საშუალება, რომელსაც იყენებდნენ ქირურგიულ სტომატოლოგიაში და ქალების ჰიგიენისთვის. მიუხედავად, ხალხურ მედიცინაში სფაგნუმის მრავალსაუკუნოვანი გამოყენების ისტორიისა დღემდე სფაგნუმის არცერთი სახეობა არ არის ოფიცინალური. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება საინტერესო მონაცემები სფაგნუმის ხავსების ქიმიური შემადგენლობისა და ბიოლოგიური აქტიურობის შესახებ: ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებიდან დადგენილია ფენოლური მჟავების და კუმარინების 6 კლასის არსებობა. სფაგნუმი შეიცავს ჰუმინურ მჟავებს და სფაგნოლს. ლიტერატურის მონაცემების მიხედვით გვარი *Sphagnum* - ის სახეობები მაღალი ანტიმიკრობული აქტივობის პოლისაქარიდებს შეიცავენ. სფაგნუმის, როგორც ომბროტროფული ტორფნარების ედიფიკატორის

ანტიმიკრობულ თვისებას ადასტურებს მკვდარი მცენარის ძალიან ნელი ხრწნა, ლპობისადმი მდგრადობა და ტორფის აკუმულირება (Бабешина и т.д., 2002:8, Бабешина и т.д., 2010:9).

გვარი *Sphagnum L.* ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი პოლისაქარიდები აღმოჩნდა. ლიტერატურის მონაცემების მიხედვით მათი შემცველობის ჯამური რაოდენობა 2,5-3 % შეადგენს. მედიცინაში ანტიმიკრობულ, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელ საშუალებად გამოიყენება, როგორც თავად ხავსი, ასევე, მისგან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (Бабешина и т.д., 2002:8). სფაგნუმი დიდი ხანია გამოიყენება დაინფიცირებული ჭრილობის, თვალის დაავადების და ნაწლავური ინფექციების სამკურნალოდ (Елина, 1993:7).

ხავსები გამოიმუშავენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს. მათი ანტიბაქტერიული და აბსორბციული უნარი ხავსების დამცველობით, კონსერვაციულ თვისებას განაპირობებს. სფაგნუმის ექსტრაქტს სტაფილოკოკის და სტრეპტოკოკის კულტურებზე ბაქტერიციდული მოქმედება გააჩნია. ასევე, სფაგნუმის 14 სახეობის წყლიან ექსტრაქტებს გამოხატული ანტიმიკრობული მოქმედება აღმოაჩნდათ.

ვიტოპოლისაქარიდები ანტიმიკრობული და იმუნომოდულატორული თვისებების გამო, პერსპექტიულ საშუალებას წარმოადგენს კომპლექსური მოქმედებით და ხანგრძლივი მიღებისთვის სამკურნალო პრეპარატების შექმნისთვის. სფაგნუმით მკურნალობდნენ ტუბერკულოზს, პნევმონიას, ნევრასთენიას და სხვა (Saboljevic et al., 2010:62).

დღესდღეობით მეცნიერები სფაგნუმს განიხილავენ, როგორც მრავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროდ, რომლებსაც გააჩნია გამოხატული ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება (Wang, X.N. et al., 2005:82, მათ შორის არქეოლოგიაში ანტიფუნგალური კონსერვაციისათვის (Zaitseva, N. 2006:109, Zaitseva, N. 2009:110). ზოგიერთი სახეობიდან გამოყოფილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს კიბოს უჯრედების მიმართ ციტოტოქსიკური აქტივობა გააჩნიათ (Chan et al., 2000:29).

ბოლო წლებში მეცნიერები გვარი *Sphagnum* - ის სხვადასხვა სახეობის ეთნოფარმაკოლოგიაში და საოჯახო მედიცინაში მათ მნიშვნელობაზე მუშაობენ. დაიწყო სფაგნუმის საოჯახო მედიცინაში გამოყენება, როგორც, კარგი ადსორბენტისა, ჭრილობის შესახვევად და ბავშვთა ჰიგიენისთვის. ამას გვარის ანატომიურ-მორფოლოგიური თავისებურება განაპირობებს. როგორც ავლნიშნეთ გვარი სფაგნუმის სახეობებს ორგვარი: ცოცხალი - მაფოტოსინთეზირებელი, მწვანე და მკვდარი ანუ ჰიალინური, თეთრი უჯრედი გააჩნია. ჰიალინური უჯრედის მოცულობა ბევრად აღემატება მაფოტოსინთეზირებელ, ქლოროპლასტიან უჯრედებს, ამიტომ, ამ გვარის წარმომადგენლებს თეთრ ხავსსაც უწოდებენ. სწორედ ეს ჰიალინური უჯრედები განსაზღვრავენ სფაგნუმის ხავსის აბსორბციის უნარს, მას შეუძლია შეიწოვოს სხეულის მასასთან შედარებით 20-25 ჯერ მეტი წყალი.

სფაგნუმის და მისი ექსტრაქტების ეთნოფარმაკოლოგიაში გამოყენება თავდაპირველად ჩრდილოეთის ქვეყნებში, ციმბირში და მის ფარგლებს გარეთ დაიწყო. ჩრდილოეთ ამერიკის ტომები სფაგნუმს, როგორც ჭრილობის შესახვევ და დამწვრობის სამკურნალო საშუალებად გამოიყენებდნენ. არსებობს უამრავი ისტორიული მონაცემი სფაგნუმის ხავსის ანტიბაქტერიული და ხრწნისადმი მდგრადობის შესახებ, თუმცა არ არის კარგად დასაბუთებული. ცნობილია რომ ვიკინგები თავიანთი მოგზაურობისას იყენებდნენ სფაგნუმისანი ტორფნარის წყალს, რათა ის ერთ თვეზე მეტ ხანს იყო სასმელად ვარგისი. სკანდინავიელი მეთევზეები ტრადიციულად თავიანთ ნანადირევს ინახავდნენ ტორფნარში, სფაგნუმი, მისი ანტისეპტიკური თვისებით თევზს გახრწნისგან იცავდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში სფაგნუმის ტორფიდან გამოყოფილი კუპრი კანის სხვადასხვა დაავადების (ქავილი, ეგზემა, ფსორიაზი) სამკურნალოდ (Bown et al., 1996:25) გამოიყენებოდა.

ზოგიერთი მცენარის მიერ პროდუცირებული პოლისაქარიდები ბოლო დროს მეცნიერების დიდ ყურადღებას იქცევს, როგორც კარგი ანტისეპტიკი, იმუნომოდულატორი, მიკო და ციტოტოქსიკი. ბიოტექნოლოგიის მეთოდები ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეფუძნება ინოვაციურ და საინტერესო გზას -პოლისაქარიდების ანტიმიკრობულ აგენტად გამოყენებას. მაგალითად კვების მრეწველობაში ტრადიციული კონსერვანტები ჩაანაცვლა პოლისაქარიდებმა, რაც აინჰიბირებს

ბაქტერიების გამრავლებას (Chan et al.,2000:29). ნატურალური პოლისაქარიდების ანტიმიკრობული თვისებები განპირობებულია მასში არსებული მაღალი აქტივობის კარბონული ჯგუფით, რომელიც იკავშირებს პირველად ამინომჟავებს შედეგად წარმოიქმნება პოლისაქარიდების პროტეინებთან მდგრადი კომბინაცია. პოლისაქარიდების ანტიმიკრობული აქტივობის მიზეზი არის მათი უნარი - წარმოქმნან ბმა საპროგენული მიკრობების ეგზოენზიმებთან (Painter1991:33). სფაგნუმის ხავსის ანტისეპტიკური აქტივობის მტკიცებულებას წარმოადგენს ის ფაქტი რომ, სფაგნუმთან შეხებისას სხვადასხვა ორგანული მასალა რჩება გაუხრწნელი. სხვადასხვა მეცნიერის აზრით ეს განპირობებულია სფაგნუმის ნელი ხრწნისას გარემოში გამოყოფილი განსაკუთრებული ნივთიერებით, რომელიც განაპირობებს სფაგნუმთან მოხვედრილი ორგანული ნივთიერებების კონსერვაციას. ეს ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მისი როგორც პოტენციური საკონსერვაციო საშუალებად გამოყენებისა. ტორფნარებში აღმოჩენილია უამრავი, სხვადასხვა ქიმიური სტრუქტურის არქეოლოგიური მასალა. ესენია: ცელულოზა (არქეოლოგიური ხის ნიმუშები, სამშენებლო მასალები და ა.შ), მცენარეული ცილა (პური, მარცვლეული), გლუკოზა და პექტინი (ხილი და კენკრა), ცხოველური ცილები (ყველი) და ცხიმი (კარაქი და ქონი). სფაგნუმის კონსერვაციული თვისების ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულება იყო, 1950 წ მაისში დანიის სოფელ ტოლუნდის ტორფნარში 2200 წლის წინ დაღუპული ადამიანის სხეულის აღმოჩენა, რომელიც შესანიშნავად იყო შემონახული (Painter, 1991:95, Painter, 1995:96).

სფაგნუმის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების ისტორია სათავეს იღებს 5000 წლის წინ. ამის დასტურია ის რომ, 1991 წელის სექტემბერში ავსტრალიელი მთამსვლელების მიერ აღმოჩენილი შოტლანდიის ალპებში ყინულში განამარხებული ბრინჯაოს ხანის ადამიანი, მას ზედმეტსახელად „ყინულის კაცი - ოტზი „ შეარქვეს, რომელსაც ჭრილობის სახვევად გამოყენებული ჰქონდა სფაგნუმის ხავსი, კერძოდ კი *Sphagnum cuspidatum* (Dickson et al., 2009:36). ხოლო, შემდგომში სფაგნუმი ფართოდ გამოიყენებოდა იგივე დანიშნულებით მე-20 საუკუნეში (I და II მსოფლიო ომებში). კანადა ინტენსიურად აწარმოებდა სფაგნუმის ხავსის სახვევს (ბინტს). ამ მიზნით ჩრდილოეთ ამერიკაში შეირჩა ოთხი სახეობის სფაგნუმის ხავსი : *Sph. papillosum*, *Sph.*

palustre, *Sph. imbricatum*, და *Sph. Magellanicum*. ამ ოთხი სახეობიდან კი საუკეთესო ადსორბციული უნარით გამოირჩეოდა *Sph. papillosum* (Riegler, 1989:59). კანადაში სფაგნუმის ხავსის სახვევის დამზადება დაიწყო 1915 ტორონტოს უნივერსიტეტის ქალთა მოხალისე ჯგუფის მიერ ახლად აღებულ ხავსს აშრობდნენ, ახდენდნენ დეზინფექციას სულემით ($HgCl_2$), და ათავსებდნენ მცირე ზომის ბამბის ჩანთებში. ზოგჯერ ხავსს სპეციალურად არ უკეთებდნენ დეზინფექციას. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ, შეინიშნებოდა განსხვავება დეზინფიცირებულ და არა დეზინფიცირებულ ხავსების სახვევებს შორის. არადეზინფიცირებულმა სფაგნუმის ხავსის სახვევმა, თავად გამოავლინა, ანტიმიკრობული თვისებები. ის გამოიყენებოდა მე-2 მსოფლიო ომის დროსაც, იგივე დანიშნულებით და დღეს თანამედროვე მეცნიერებიც უწევენ რეკომენდაციას მის გამოყენებას მედიცინაში (Podterob et al.,2002:56).

გასული ათწლეულის განმავლობაში მეცნიერთა ჯგუფი სფაგნუმს განიხილავდნენ, როგორც თევზის კონსერვაციის საშუალებად, სამაცივრე დანადგარების გამოყენების გარეშე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ თევზი ინახებოდა ერთი თვის განმავლობაში სფაგნუმში უვნებლად და ბაქტერიული ხრწნა იწყებოდა გახსნიდან 7-12 დღის შემდეგ (Jones et al., 2001:43). პაინტერის თქმით ტრანსპორტირების ამ მეთოდს, გარდა თანხის დაზოგვისა აქვს სხვა დადებითი მნიშვნელობაც. ბაზარზე თევზი მიეწოდება გაუყინავი, რაც პირველად გემოს უნარჩუნებს თევზს. ამ დროისთვის დაიწყო კვლევები სფაგნუმიდან გამოყოფილი ანტიმიკრობული ინგრედიენტების ტესტირებაზე. პაინტერს ნაკლებად სჯეროდა ფენოლური ნაერთების ანტიმიკრობული აქტივობისა, რადგან ის მცენარის მშრალი წონის, სულ რაღაც 2%-ს შეადგენდა. სფაგნუმიდან გამოყოფილი ფენოლური ნაერთის ანტიმიკრობული თვისება გამოსცადეს ლპობის ბაქტერია *Pseudomonas aeruginosa* -ზე. ფენოლურმა ნაერთებმა დაბალი ანტიმიკრობული, თითქმის უნაყოფო მოქმედება გამოავლინეს.

ამის შემდეგ პაინტერმა განავითარა ალტერნატიული თეორია სფაგნუმის წარმოებული პოლისაქარიდების ანტიმიკრობული ეფექტის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ცოცხალი სფაგნუმის უჯრედის კედელში წარმოიქმნება წყალში ხსნადი D-გალაქტურონის მჟავა, მაღალი აქტივობის კარბონილის ჯგუფით. სწორედ ამიტომ

სფაგანუმის ხავსს ახასიათებს იონთა ცვლის და მეტალის კათიონების შეკავების მაღალი უნარი. ამავდროულად გააჩნია წყალბადის იონების გამოთავისუფლების უნარი, რაც იწვევს ტორფნარში მჟავა და სტერილური (ანტიმიკრობული) გარემოს წარმოქმნას. ამ მაღალი აქტივობის პოლიურონის მჟავას უწოდეს (5 keto D-manuronic acid) „სფაგანანი“. იგი მოიცავს ორ - პირანოზას და ფურანოზას იზომერულ რგოლს. ეს ნივთიერება მონაწილეობას ღებულობს სფაგანუმის ხავსის უჯრედის კედლის შენებაში. პაინტერის ჰიპოთეზის თანახმად სფაგანანს აქვს უნარი ლპობის ბაქტერიების ეგზო-ენზიმები დაიკავშიროს და შეამციროს ბაქტერიული ზრდა ტორფნარში, რაც ამცირებს ხრწნას. „სფაგანანის“ გამოყოფა შესაძლებელია, როგორც ტორფნარის ჰუმუსოვანი წყლისაგან ასევე, ცოცხალი სფაგანუმიდანაც. თუმცა პაინტერი გვიჩვენებს, რომ ჰუმუსოვანი წყლიდან გამოყოფილი „სფაგანანის“ კარბონილის ჯგუფი, აღარ არის თავისუფალი, რადგან მასთან უკვე შეკავშირებულია აზოტის კათიონები, რის გამოც „სფაგანანის“ გამთრიმლავი უნარი შემცირებულია.

სფაგანუმის უჯრედის კედლის ანტიმიკრობული ინგრედიენტები. სფაგანუმის ხავსის მიკრობული დეგრადაციის მექანიზმი ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. სფაგანუმის ხავსის შემცველობის განსაზღვრისას გამოვლინდა ორი კატეგორიის ნაერთი, რომელიც მეცნიერების აზრით განსაზღვრავს სფაგანუმის მცენარის ხრწნის შენელებას, ესენია: პოლისაქარიდები და ფენოლური ნაერთები (Kulze et al., 2001:48). ეს ნაერთებია:

კარბოჰიდრატები. სფაგანუმი უმთავრესად შეიცავს გლუკოზისა და გალაქტურონის მჟავის ერთეულებისგან შემდგარ პოლისაქარიდებს. რომლებიც სფაგანუმს მაღალი კათიონური ცვლის უნარს და ანტიმიკრობულ მოქმედებას ანიჭებს. D-გალაქტურონის მჟავა (ფორმირებული პოლიურონის მავისგან) არის პოლისაქარიდი, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალი სფაგანუმის უჯრედის კედელში (Clymo et al., 1982:28). D-გალაქტურონის მჟავა არის გალაქტოზის დაჟანგული ფორმა, რომელიც მცენარის პექტინის მთავარი კომპონენტია. D - გალაქტურონის მჟავა მიეკუთვნება C1 ალდეჰიდების ჯგუფს და C6 კარბოქსილ მჟავას ჯგუფს სადაც C6, ჯაჭვი ჩანაცვლებულია კარბოქსილი მჟავის ჯგუფით, რომელიც თავის მხრივ შეიცავს C = O მაღალი აქტივობის კარბონილის ჯგუფს, რაც ამ ნივთიერებას სძენს იონთა

ცვლის თვისებებს. სწორედ კათიონთა ცვლის მექანიზმი განსაზღვრავს *Sphagnum* ხავსის მიერ მიკრო და მაკრო ელემენტების შეწოვის და წყალბადის იონების გამოთავისუფლების უნარს (Urban et al., 1995:74). გამოკვლევებით დადგინდა, რომ უფრო მეტად ადსორბირდება ბივალენტური კათიონები (Ca^{2+} , Mg^{2+}), ხოლო მონოვალენტური კათიონები რჩება წყალში გახსნილის სახით (K^+ , Na^+). შეკავებული კათიონები არ გამოთავისუფლდება, დაღუპული მცენარიდანაც. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას ტორფნარი არის დიდი დეპო, რადიატორი არსებული კათიონებისა. სფაგნუმის ხავსის დაბალი პროდუქტიულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ, კათიონების „გამოკეტვა“, ზოგიერთი ავტორის აზრით კი „სტერილურობაც“ ამ ფენომენითაა განპირობებული (Painter et al., 1995:54).

ფენოლოური ნაერთები. სფაგნუმში აღმჩენილია 11 სახის ფენოლოური ნაერთი, რომელთაგან ერთ-ერთი ჭურჭლოვანი მცენარეების მსგავსი ფენოლოური ნაერთი – ლიგნინია (Williams et al., 1998:76). თუმცა, ჭურჭლოვანი მცენარეების ფენოლოური ნაერთებისგან განსხვავებით, სფაგნუმის ფენოლოურ ნაერთებს მკაფიოდ განსხვავებული სტრუქტურა აქვთ. მათ ახასიათებთ დაბალი შემცველობა გუაცის და სინირგინ ჯგუფებისა, ხოლო დიდი რაოდენობით შეიცავს პარა-ჰიდროქსიფენილ და კარბოქსილის ჯგუფებს (Reznikov et al., 1975:60). ჰიდროქსილ ფენილის ერთეულები ქმნიან პოლიფენოლოურ ჯაჭვს, რომელიც სფაგნუმის ცელულოზას იცავს მიკრობული რღვევისგან. კარბოქსილის ჯგუფი ადვილად გადადის ხსნად ფორმაში მჟავა ჰიდროლიზით. წყალში გახსნილი ფენოლი, არსებობს ფენოლ მჟავის (სფაგნუმის მჟავა) სახით მხოლოდ სფაგნუმთან გარემოში (Williams et al., 1998:76). სფაგნუმის ზოგიერთ სახეობებში (*Sph.falax*, *Sph.cuspidatum*) ფენოლების უმრავლესობა აღმოჩნდა წყალში გახსნილი სახით, თუმცა ასევე შესწავლილ იქნა ენდოგენური სფაგნუმ მჟავები ტრანს-დარიჩინის და პარა-კუმარის მჟავა. ისინი გამოთავისუფლდება გარემოში როგორც, სფაგნუმის ზრდის მეტაბოლიტები (Rasmussen, 1994:58). წყალში გახსნილი ფენოლოური ნაერთები გროვდება ტორფნარის გუმბათის წყლებში და წარმოქმნის ჰუმუსურ მჟავას, რომელიც ხელს უშლის ბიოასიმილაციის პროცესს, ეს განაპირობებს ტორფნარის „სტერილურობას“. სფაგნუმის ხავსის ფენოლოური ნაერთები არ შემოიფარგლება ხსნადი ფენოლების

სახით. ისევე როგორც სხვა მცენარეები, სფაგნუმიც შეიცავს ფენოლური ნაერთების განსაზღვრულ ჯგუფს დაბალმოლეკულურწონიანი ფენოლებიდან, მაღალ მოლეკულურ – ტანიინამდე. უმრავლესი მათგანი ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი. მაღალი მოლეკულური წონის მქონე ფენოლები ტორფნარში არის როგორც ხსნადი ასევე მყარ ფორმით. წყალში გახსნილი ფორმები წარმოდგენილია ჰუმუსური მჟავით და ტანიინ მჟავით, ხოლო მყარი ფორმები კი კონდენსირდება ტანიინის შემცველი ფლავანოიდის ერთეულებად.

ფენოლებს გააჩნიათ ანტიმიკრობული თვისებებიც. მაღალი მოლეკულური წონის ფენოლური ნაერთები ორგანულ ნივთიერებებს შორის წარმოქმნის მტკიცე კავშირებს და ამცირებს დეკომპოზიციის – ხრწნის პროცესებს, ხოლო დაბალმოლეკულური ფენოლური ნაერთები ადვილად იშლება მიკროორგანიზმების მიერ. სწორედ ამიტომ ტორფნარის სიღრმეში არსებული მცენარეული მასალა შეიცავს ხრწნისადმი მდგრად კომპონენტებს (Verhoeven et al., 1997:75).

სფაგნუმის, როგორც კარგი ჭრილობის სახვევი და შესახორცებელი საშუალების გამოყენება განპირობებული იყო არა მხოლოდ ადსორბციის და სიმშრალის შენარჩუნების თვალსაზრისით არამედ, ნიტრატების დაშლის და შთანთქმით, რასაც უზრუნველყოფს სფაგნუმის ჰოლოცელულოზა (სფაგნანი, პექტინის მსგავსი ნივთიერება), სფაგნუმი, ბაქტერიებისაგან ითვისებს ნიტრატებს და ამით აუვნებელყოფს მათ (Painter et al., 1995:54).

მეტად აქტუალური საკითხია ხავსების შესწავლა როგორც ეკოლოგიურ ჭრილში ასევე, მნიშვნელოვანია მათი ქიმიური ანალიზი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე, კერძოდ კი მეორად მეტაბოლიტებზე. გამოვლინდა რომ, დიდი რაოდენობით შეიცავენ გლიკოზიდებს, ფენოლს, ლიპიდებს (Asakawa, 2007:18, Selvam et al., 2010:63).

სფაგნუმიდან ანტიმიკრობული აგენტების (ჰოლოცელულოზისა და პოლისაქარიდების) გამოყოფის მეთოდი ეკუთვნის პაინტერს. მის მიერ შემოთავაზებული მეთოდი ითვალისწინებს ხავსის ოქსიდურ დამუშავებას, რის შედეგადაც ხავსში ჟანგავს არომატულ ნაერთებს და უცვლელად ტოვებს მხოლოდ პოლისაქარიდების სტრუქტურას.

თუმცა შემდგომში პოლისაქარიდების და ჰოლოცელულოზის გამოყოფის მეთოდი შეიცვალა ფერმენტული დაშლის მეთოდით, რადგან დაჟანგვის მეთოდით მცირდებოდა არა მხოლოდ არომატულობა, არამედ სტერილურობაც (Balance et al., 2007:12).

ფენოლური ნაერთისგან თავისუფალი ხავსი შეიძლება გამოვიყენოთ სამედიცინო პრაქტიკაში უშუალოდ ჭრილობაზე დასაფენად და შესახვევ საშუალებად. სფაგნუმი რეკომენდირებულია ტუალეტის ქაღალდის ინგრედიენტად. ასევე ხავსის ჰოლოცელულოზა რეკომენდირებულია საკვების შემნახველი კონტეინერების ამოსაფენად. იგი უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე გემოსა და სუნის შენარჩუნებას (Balance et al., 2007:21).

ზოგიერთი მცენარის მიერ პროდუცირებული პოლისაქარიდები, ფენოლები და ესტერები ბოლო დროს მეცნიერების დიდ ყურადღებას იქცევს, როგორც კარგი ანტისეპტიკი, იმუნომოდულატორი და მიკო და ციტოტოქსიკი. ბიოტექნოლოგიის მეთოდები ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეფუძნება ინოვაციურ და საინტერესო გზას - მათ ანტიმიკრობულ აგენტად გამოყენებას (Бабешина и т.д., 2010:8; Елина и т.д., 1993:11).

გვარი *Sphagnum L.* დღესდღეობით მეცნიერები განიხილავენ, როგორც მრავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროდ, რომლებსაც გააჩნია გამოხატული ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, სოკოსაწინააღმდეგო მოქმედება. ზოგიერთი სახეობიდან გამოყოფილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს გააჩნიათ ციტოტოქსიკური აქტივობა კიბოს უჯრედების მიმართ (Бабешина и т.д., 2010:9; Chang et al., 2000:29). სფაგნუმი ეთნოფარმაკოლოგიაში დიდი ხანია გამოიყენება დაინფიცირებული ჭრილობის, თვალის დაავადების და ნაწლავური ინფექციების სამკურნალოდ (Елина и т.д., 1993:11).

სფაგნუმის 5 სახეობაში *Sphagnum balticum*, *Sph. fallax*, *Sph. fuscum*, *Sph. Lenense*, *Sph. Girgensohnii* დაფიქსირდა პოლისაქარიდების მაღალი შემცველობა. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი სახეობებიდან გარდა ერთისა, პოლისაქარიდების შემცველობა 10% იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა *Sph. girgensohnii*, რომელშიც პოლისაქარიდების შემცველობა 26 % იყო. ასეთი განსხვავება

სახეობებს შორის, დაკავშირებულია ამ სახეობათა განსხვავებულ ეკოლოგიურ გარემოში ზრდით. ოლიგოტროფული, სინათლისმოყვარული სფაგნუმის სახეობები, როგორცაა: *Sphagnum balticum*, *Sph. fallax*, *Sph. fuscum*, *Sph. Lenense* შეიცავს 9,5 - 10,7% პოლისაქარიდებს, ხოლო მეზოტროფული, დაჭაობებულ ტყეებში გავრცელებული, ნაკლები განათების პირობებში მოზარდი *Sph. Girgensohnii* კი 26% პოლისაქარიდებს შეიცავს (Бабешина и т.д., 2002:8). *Sphagnum papillosum* -ის ფოთლებიდან გამოყოფილი ფენოლური ნაერთები გამოიცადა *Staphylococcus aureus* 50084 ანტიბაქტერიულ აქტივობაზე (Mellega et al., 2009:53). დადგენილია რომ, ოლიგოტროფული ტიპის ტორფნარების სფაგნუმის სახეობები მდიდარია C16 - C30 ესტერით, ხოლო მეზოტროფული ტიპის ტორფნარები შედარებით დაბალი კონცენტრაციით შეიცავენ ესტერებს (Baass et al., 2000:20).

1.5. სფაგნუმი როგორც, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ბიოინდიკატორი

ვინაიდან ადამიანი ბიოსფეროს ნაწილია, მასზე განუწყვეტლივ მოქმედებს გარემო ეკოტოქსიკოლოგიური ფაქტორები. დღეს, მსოფლიოში აქტუალური საკითხია ჰაერის ხარისხი და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით ბავშვის და მოზარდის ორგანიზმის ჩამოყალიბებაში ხელისშემშლელი და მავნე ფაქტორია მძიმე მეტალების დასაშვებ ნორმაზე მეტი კონცენტრაცია ჰაერში. არსებობს უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია რომლებიც გართიანდა ერთი მიზნის მისაღწევად - შეისწავლონ გარემო ფაქტორების ტოქსიკოლოგიური გავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე და გაატარონ პრევენციული ზომები ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის (Larsson et al., 2012:51).

ჰაერის გაჭუჭყიანების ანთროპოგენული წყაროები სამი სახეობისაა: სამრეწველო, გამათბობელი საშუალებები და ტრანსპორტი. ყველაზე ინტენსიური ფაქტორი ტრანსპორტის მიერ გამოყოფილი გამონაბოლქვია.

საქართველოში მწვავედ დგას დაჭუჭყიანებული ჰაერის საკითხი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სატანსპორტო ნაკადი გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა გამონაბოლქვი, რაც აქტიური წყაროა ჰაერში მძიმე მეტალების გამოფრქვევის,

საყურადღებოა ტყვია (Pb). ქალაქის ჰაერის ხარისხის განმსაზღვრაველი ერთ-ერთი ფაქტორია ვენტილაცია. აქტიურმა ურბანულმა განვითარებამ კერძოდ, მაღალ-სართულიანმა შენობების მასიურმა მომრავლებამ ხელი შეუწყო ქალაქში ტოქსიკოლოგიური მასების შეკავებას (Tetemadze et al., 2019: 67, Tetemadze et al., 2018: 68, Tetemadze et al., 2018: 69, Tetemadze et al., 2017:70).

წვის პროდუქტებითა და მავნე აირებით გაჯერებული ჰაერი ქალაქის თავზე ქმნის საფარის მსგავს ფენას, რომელსაც „ქუდებს“ უწოდებენ. ამ ფენის სიდიდე დამოკიდებულია საწარმოო ნარჩენების რაოდენობაზე და მისი გავრცელების სიჩქარეზე, ქალაქის ფართობსა და შენობების სიხშირეზე. ჩრდილოეთის ქალაქებში „ქუდები“ 200-300 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო სამხრეთის ქალაქებში, განსაკუთრებით ზაფხულში, - უფრო მაღლა, რაც გამოწვეულია ჰაერის ძლიერი გათბობით და სითბოს კონვექციური გაცვლით.

მძიმე მეტალები - ეს სახელწოდება მათ მიიღეს იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ დიდი ატომური მასა. მათ შეუძლიათ დაილექონ მცენარეულ და ცხოველურ ქსოვილებში, რის შედეგადაც ახდენენ ტოქსიკურ ზემოქმედებას. მძიმე მეტალებიდან ყველაზე სახიფათოა: Hg, Pb, As, Cd. გარემოს ტყვიით ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი. გამონაბოლქვში არსებული ტყვია სასუნთქი გზის გავლით იოლად გადადის სისხლში. ტყვიის თავისუფალი იონი ძვლის, კუნთების, ღვიძლის, გულის ქსოვილიდან აძევებს კალციუმს და ჩაენაცვლება, რაც ორგანოების დისფუნქციის წინაპირობაა (ხვედელიძე, 2018:6).

უამრავი კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსიკური ელემენტები, ისეთი როგორცაა ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, კალა და სხვა, ჩაენაცვლებიან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს: კალციუმს, თუთიას, რკინას და იწვევენ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც ვლინდება სხვადასხვა დაავადების სახით. ქიმიურმა დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა, ქრონიკული დაავადებები, ასევე მუტაგენური და კარცენოგენული ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მეტად აქტუალურია ეკოპათოგენურ ფაქტორთა ზეგავლენის შესწავლა სამეცნიერო კვლევების საშუალებით.

აქტიურად შეისწავლება ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეული მძიმე მეტალების წრებრუნვა გარემოში. ნალექის საშუალებით ხვდებიან ნიადაგში და ასევე ატმოსფეროდან პირდაპირი კავშირით სხვადასხვა მცენარეში (ნაყოფში), საიდანაც იოლად ხვდება კონსუმენტების, მათ შორის ადამიანის ორგანიზმში (Khan et al., 2016:49). უმრავლესობა მკვლევარების მოსაზრებით მძიმე მეტალებს მიეკუთვნება Pb, Cu, Zn, Ni, Cd, As, Co, Sb, Sn, Bi, Hg, რომლებიც ჭარბი რაოდენობით გარემოში მოხვედრისას მოქმედებენ როგორც ტოქსიკანტები და ეკოტოქსიკანტები. აქედან ზოგიერთი მხოლოდ ტოქსიკური მოქმედებით ხასიათდება. ასეთებია: ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, დარიშხანი. ორგანიზმში მოხვედრისას ისინი იწვევენ ნორმალური მეტაბოლიტური პროცესების დარღვევას, ამიტომაც, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კოდექსის თანახმად, ისინი მიეკუთვნებიან იმ კომპონენტებს, რომელთა შემცველობა კონტროლს ექვემდებარება. ბოლო ასწლეულის განმავლობაში მზარდმა სამთო-სამრეწველო სამუშაოებმა, შექმნა წყლის დაბინძურების მაღალი დონე, განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე მძიმე მეტალების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციაზე მაღალი შემცველობა საარსებო გარემოში (ჰაერი, წყალი, ნიადაგი). 2016 წელს ქ. ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულმა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგმა საგანგაშო შედეგი აჩვენა, დადგინდა რომ, სხვადასხვა მძიმე მეტალის შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება 7,1 – 12,5 ჯერ.

ატმოსფერული ხარისხის გაუმჯობესება თანამედროვე მსოფლიოს პრიორიტეტია, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამას ადასტურებს 2018 წელს საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის დასახელება. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ურბანული განვითარება და გაუმართავი ავტოტრანსპორტის მომრავლება.

საქართველო მდიდარია სხვადასხვა ეკოსისტემებით, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კოლხეთის დაბლობს გააჩნია ბუნებრივი რესურსი საკუთარი მიკროკლიმატის განსაზღვრაში, ჭარბტენიანი ჰაბიტატების - სფაგნუმიანი ტორფნარების გავლენით.

საქართველოს ტორფნარების 80% კოლხეთის დაბლობზეა გავრცელებული. სფაგნუმთან ტორფნარებს სამხრეთ კოლხეთის დაბლობის მნიშვნელოვანი ფართობი 41000 ჰა უკავია, რაც ხელსაყრელი ფაქტორია, ჰაერის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად.

სფაგნუმის, თეთრი ანუ ტორფის ხავსი კოლხეთის სფაგნუმის ტორფნარების ედიფიკატორი გვარია. ტორფნარებს მსოფლიო ხმელეთის ზედაპირის დაახლოებით 3 % უჭირავთ და მათ დიდ ყურადღებას უთმობენ, როგორც გლობალური კლიმატის განმსაზღვრელს. მათში აკუმულირებულია 550 გტ ნახშირბადი, რაც ექვივალენტურია მთელი ატმოსფეროს ნახშირბადის 75 % -ის. ეს ეკოსისტემები არამხოლოდ ნახშირბადს, არამედ სხვადასხვა ტოქსიკური პოლუტანტებს აბსორბირებს, რომელთა ემისია ხდება სატრანსპორტო საშუალებებიდან და სამრეწველო დაწესებულებებიდან (*Weston D. J. et al. 2014:90, Weston D.J. et al., (2012):91, Waugh J. et al., 2007:96, Whiting GJ. Et al., 2001:97, Williams PA. et al., 2008:98, Xu C. et al., (2012): 99, Yoder J.B. et al., (2014):101, Yu Z.C. et al., (2012):102, Zelicourt A.D.et al., (2013):104, Zhao H. et al., (2012):105, Zhuang Q.L.et al., (2006):106, Zauf M. et al., 2010:112, Zedler JB. 2006:113, Zedler JB. Et al., 2005:114, Zaehle S. et al., 2005:118*).

ვინაიდან, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზრუნვა დღესდღეობით აქტუალური და მწვავე საკითხია ასევე, კოლხეთის დაბლობის ეკოსისტემის თავისებურება, სფაგნუმის ხავსის უნიკალურობა – მაღალი ადსორბციის უნარი და მათი ხელმისაწვდომობა იყო ამ კვლევის განმსაზღვრელი. ატმოსფერულ ჰაერში ეკოტოქსიკოლოგიური ფაქტორის – მძიმე მეტალების სპექტრის გამოკვლევა მოხდა ბიონდიკატორის – სფაგნუმის ხავსის გამოყენებით (ტეტემადე და სხვ., 2018:69).

ტორფის ანუ *Sphagnum* L-ის სახეობებს 1976 წლიდან (როგორც ხავსებს შორის ყველაზე კარგ აბსორბენტს) იყენებდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის, შექმნეს და გამოიყენეს ეგრეთწოდებული ხავსის ჩანთა (moss bag). ასევე, 1980 წელს შვედეთის ინიციატივით დაარსდა ხავსებით მძიმე მეტალების ბიომონიტორინგის ქსელი. ამ ქსელში 2010/2011 წლის მონაცემებით 25 ევროპის ქვეყანა და 4500 საიტია ჩართული, შემუშავდა და დაიხვეწა უამრავი მეთოდი ატმოსფეროს დაბინძურების გამოსაკვლევად (*Culicov et al., 2006:33*). გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE)

შეიმუშავა ტრანსსასაზღვრო კონვენცია ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით, რომელიც ძლიერი საერთაშორისო ინსტრუმენტია ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად და დაბინძურებისგან დასაცავად. კონვენცია შეიმუშავეს შვეიცარიის ქ.გოტენბურგში 1998 წელს და ძალაში შევიდა 2003 წელს. კონვენციის მიზანია შესწავლილ იქნას მძიმე მეტალების, კერძოდ ტყვიის, კადმიუმის და ვერცხლისწყლის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. მათი ემისია ატმოსფეროში, შედეგია სხვადასხვა ინდუსტრიული აქტივობის (Wright, L. M. et al., 2018:95 Zinicovscaia, M. et al., 2018:111).

სფაგნუმის სახეობების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით დამუშავებულია სხვადასხვა ტიპის ნიადაგებზე მათი მოყვანის, „რეინტროდუქციის“, მოვლის, მოსავლის აღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიები და შექმნილია „სფაგნუმის მეურნეობები“ (Wichmann, S. et al., (2018):86, Wichmann, S. et al., (2016):87, Wichmann, S. et al., (2017): 88, Wichtmann, W. et al., (2016):89, Wittram BW. Et al., (2015): 92, Worrall Edale F, et al., (2011):93, Wright N. et al., (2012):94, Xu, J. et al., 2019:100, Yu ZC. (2012):103, Zegers, G. et al., (2006):107, Zhu, L. 2019a:108, Zhao-Jun Bu et al., 2017:115).

ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს კვლევები სფაგნუმის სხვადასხვა სახეობის ზრდა-განვითარებაზე, ბუნებრივი რესურსების ზრდასა და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენის დადგენაზე (Zhaojun Bu et al., 2013:116, Zona, D. et al., 2011:117, Zheng, X.X. et al., 2012:120) და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ, მათი ანტიოქსიდანტური დაცვის მექანიზმებზე (Zhang, X. et al., 2017:119).

მიუხედავად ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პოლიტიკამ ევროპულ ქვეყნებში შეამცირა მძიმე მეტალების ემისია, კვლევების შედეგად დადგინდა რომ, ადამიანის სისხლში მაინც დასაშვებ ნორმაზე მეტია, მძიმე მეტალების კვალი, რაც განპირობებულია გარემოში, ნიადაგსა და საკვებ მცენარეებში მათი აკუმულირებით (World Health Organization, 2007:77). ევროკავშირმა შეიმუშავა მაქსიმალური კონცენტრაცია ახალ ბოსტნეულში რომელიც, არ ავნებს ადამიანის ორგანიზმს 0,2 მგ Pb/კგ და 0,05მგ Cd/კგ ბოსტნეულში (EU 2011:78).

ექსპერიმენტული ნაწილი

თავი 2. კვლევის ობიექტები და მეთოდები

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური სფაგნუმიანი ტორფნარები: ისპანი 1-ის, ისპანი 2-ის, იმნათის, ფიჩორის, გრიგოლეთის ტორფნარების სფაგნუმის სახეობები (*Sphagnum austini*, *Sph. magellanicum*, *Sph. palustre*, *Sph. rubellum*, *Sph. Papillosum*, *Sph. Capillifolium*, *Sph. Cuspidatum*, *Sph. Fallax*, *Sph. Denticulatum*);

კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული სფაგნუმის ხავსის ყველა იდენტიფიცირებული სახეობა: ანატომიური მორფოლოგიური თავისებურებების და ეკოლოგიური მახასიათებლების დადგენისათვის; სფაგნუმის 5 სახეობა (*Sph. palustre*, *Sph. Papillosum*, *Sph. rubellum*, *Sph. imbricatum*, *Sph. cuspidatum*) ქიმიური შემცველობის განსაზღვრისათვის და *Sph. Papillosum*- გან დამზადებული ე.წ „სფაგნუმის ჩანთა“, ბიომონიტორინგისათვის.

ქ. ბათუმის ტრანსპორტით გადატვირთული 4 უბანი: თამარ მეფის გზატკეცილი, გოგოლის ქუჩა, კახაბრის ქუჩა და ტბ. აბუსერიძის ქუჩა;

კვლევის მეთოდები. სფაგნუმის სისტემატიკური, მორფოლოგიური და ანატომიური კვლევისას გამოყენებულია Addy სფაგნუმის სახეობების სარკვევი.

სფაგნუმის სახეობების ანატომიური თავისებურების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ელექტრონული მიკროსკოპი (Binocular microscope 107 LED Lamp). ველზე მუშაობისას ვიყენებდით ხელის ლინზა 18 MM-10X TRIPLET.

სფაგნუმის თანასაზოგადოებების შესწავლისას აღწერის კვადრატის მეთოდი Domin Krajina მეთოდი. კვადრატების ზომები 25 სმ x 25 სმ.

ეკოლოგიური გარემოს მჟავიანობისა და ელექტროგამტარუნარიანობის შესწავლისათვის გამოყენებულია ხელსაწყო EC -Electric conductivity.

ისპანი 2-ის სფაგნუმის 5 სახეობის *Sphagnum palustre*, *Sph. papillosum*, *Sph. capillifolium*, *Sph. austinii*, *Sph. cuspidatum* კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე განხორციელდა გაზური ქრომატოგრაფია-მასსპექტრომეტრიის (GC-MS/MS) გამოყენებით.

საკვლევი ობიექტები დავამზადეთ 2016 წლის თებერვალში, ნიმუშები ავიღეთ კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტიპის ტორფნარის – ისპანი 2–ის გუმბათიდან და ბუფერული ზონიდან. საკვლევი ნიმუშები 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ გამოვაშრეთ Thermo scientific 30-70°C, გამომშრალი ობიექტები დავაქუცმაცეთ, ნედლეულის 2,0-2,0 გრამი მოვათავსეთ ერლენ-მეიერის კოლბებში და დავამატეთ მეთანოლი, ნედლეულისა და ექსტრაგენტის 1:10-თან თანაფარდობით. კოლბები ნედლეულით მოვათავსეთ ულტრაბგერით აბაზანაში 30 წთ-ის განმავლობაში 35°C ტემპერატურაზე. ექსტრაქციის შემდეგ მოვახდინეთ რექსტრაქცია. მიღებული გამონაწვლილები გავაერთიანეთ და გავფილტრეთ უნაცრო ქაღალდის ფილტრში. ფილტრატები გადავიტანეთ ფიალებში და დავაყოვნეთ ამწოვ კარადაში მეთანოლის სრულ აორთქლებამდე. ორგანული გამხსნელის აორთქლების შემდეგ მშრალ ნაშთებს ცალ-ცალკე დავუმატეთ სადერივატიზაციო სითხეთა ნარევი: *BSTFA/ EtOAc* (55 : 50 მკლ), გავაცხელეთ 70⁰ C ტემპერატურაზე 20 წუთის განმავლობაში. გაცივების შემდეგ 1-1 მკლ გამოვიკვლიეთ ტანდემური ქრომატო-მასსპექტრომეტრით

კვლევისათვის გამოვიყენეთ ხელსაწყო - გაზური ქრომატოგრაფი-მასსპექტრომეტრით (Agilent Technologies GC - 7890 A, MS - 7000 A Triple quadrupole). ქრომატოგრაფირების და დეტექტირების პირობები მოცემულია N1 ცხრილში.

ცხრილი №1

გაზური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრული მეთოდით ანალიზის ჩატარების პირობები

აპარატი	Agilent Technologies GC - 7890 A, MS - 7000 A Triple quadrupole
ინჟექტორის ტემპერატურა	250°C
ღუმელის ტემპერატურა: (რეჟიმი პროგრამული)	60°C 1 წთ ; 60°C→ 250°C 15°C/წთ; 250°C→ 310°C 10°C/წთ
ტრანსფერლაინის ტემპერატურა	310°C
ინჟექტირების მოცულობა	1 მკლ

სვეტი	Elite 5-MS; 30M X 250 μ m X 0.25 μ m;
იონიზაციის წყარო EI (Electron Ionization)	70 <i>ev</i>
იონების მონიტორინგი	45 – 600 m/z
აირმატარებელი	ჰელიუმი
აირის დინების სიჩქარე	1 მლ/წთ
სკანირების რეჟიმი TIC	35-500 Amu
დერივატიზაციის რეაგენტი	<i>BSTFA/EtOAc</i> (55 : 50 მკლ)

საანალიზო ობიექტში სამიზნე ნივთიერების გამოვლენის მიზნით, ქრომატოგრამებზე არსებული პიკების მასსპექტრები შედარებული იქნა მონაცემთა ბაზაში (*NIST* 2014) არსებული ნივთიერებების მასსპექტრებთან.

წვენების მომზადების ტექნოლოგია. ნედლ მცენარეულ ნედლეულს ორჯერ აწვრილმენებენ ბალახისმჭრელი ლაბორატორიული დამაწვრილმანებელი მანქანით - დაწვრილმანებელი ნაწილაკების ზომებია 2-8 მმ. დაწვრილმანებულ ნედლეულს ახვევენ ტილოს ნაჭრებში და ათავსებენ წნეხის ცილინდრში. ერთმანეთისაგან გამოყოფენ უჟანგავი ფოლადის ფირფიტებით და წნეხავენ წვენის მიღების მიზნით. სწრაფი გაცხელების მიზნით წვენს დგამენ წყალში, რომელიც წინასწარ გაცხელებულია 80-85°C ტემპერატურამდე, 30 წთ-ით, შემდეგ უცხად აცივებენ გამდინარე ცივი წყლით. ტემპერატურის ასეთი ცვლა ხელს უწყობს ფერმენტების ინაქტივაციას და ცილოვანი ნივთიერებების შეხვეჭას. გამოყოფილ ნალექს ამორებენ ცენტრიფუგირებით. მიიღება სუფთა, გამჭვირვალე წვენი.

მშრალი მცენარეული ნედლეულიდან წყლიანი გამონაწვლილების და წყალში ხსნადი პოლისაქარიდების ჯამის შემცველი პრეპარატების მიღება. საკვლევი მშრალი მცენარეული ნედლეულის გამოწვლილვას ახდენენ ცხელი წესით, მდულარე წყლის აბაზანაზე უკუმაცივრით 2 საათის განმავლობაში. ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა შეადგენს 1:1 (წონითი ნაწილი). მიღებულ გამონაწვლილს ფილტრავენ

მომზადებისთანავე. გაწმენდილ გამონაწვლილს ყოფენ ორ ნაწილად. ერთი ნაწილი შემდეგ კვლევაში გამოყენებული იქნება სახელწოდებით „წყლიანი ექსტრაქტი“.

გამონაწვლილის მეორე ნაწილისაგან კი ღებულობენ პოლისაქარიდებს, რისთვისაც გაწმენდილ გამონაწვლილს ასქელებენ ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე საწყისი მოცულობის 1/10-მდე, გაიშვიათების პირობებში.

წყალში ხსნადი ნივთიერებების, კერძოდ პოლისაქარიდების დალექვას შესქელებული ექსტრაქტიდან ახდენენ სამმაგი რაოდენობა 96%-იანი ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტს ამატებენ შერევის პირობებში. გამოყოფილ ლორწოვან ნალექს აყოვნებენ, ნალექისზედა სითხეს დეკანტაციით აცილებენ, ხოლო დარჩენილ მასას აშრობენ ვაკუუმ-მაშრობ კარადაში 50-60°C ტემპერატურაზე არაუმეტეს 7% ტენის შემცველობამდე.

ანტიბაქტერიული მოქმედება. საკვლევი ობიექტების ანტიბაქტერიული აქტივობის კვლევა ჩატარდა გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში. ანტიბაქტერიული ეფექტის შეფასება განხორციელდა სტანდარტიზებული პროტოკოლის საშუალებით დისკების დიფუზიის მეთოდისა (Disc Diffusion Method - DDM) და აგარის ორმოების დიფუზიის მეთოდის (agar well diffusion) გამოყენებით. ანტიბაქტერიული აქტიურობის გაზომვა განხორციელდება (Minimal Inhibitory Concentration -MIC) ინჰიბირების ზონის არსებობით/არარსებობით და ინჰიბირების მინიმალური კონცენტრაციის სიდიდეთა განსაზღვრით.

დისკების დიფუზიის მეთოდის შემთხვევაში ახდენენ Muller Hinton-ის აგარის ნიადაგის მომზადებას და სტერილიზაციას. ნიადაგი ისხმება პეტრის ფინჯნებზე და ინახება სტერილურად გამყარებამდე. შესაბამისი ბაქტერიული კულტურის 0,1მლ ითესება ნიადაგზე - ფინჯანზე გაშლის ტექნიკის გამოყენებით.

სინჯის ხსნარის სახით მომზადება ხდება ბუფერულ ხსნარში (1% DMSO სტერილურ გამოხდილ წყალში). ახდენენ აღნიშნული ხსნარით ფილტრის ქაღალდის გაჟღენთვას და მოთავსებას ბაქტერიული ნათესის შემცველი პეტრის ფინჯნების ზედაპირზე და აჩერებენ გაშრობამდე, შემდეგ პეტრის ფინჯნები თავსდება 37° C

ტემპერატურაზე 24 საათის განმავლობაში ინვერტირებულ (ამობრუნებულ) პოზიციაში.

სტანდარტული ანტიბიოტიკი (სტრეპტომიცინი ATCC 30-2300) და ბუფერული ხსნარი გამოიყენებოდა შესაბამისად დადებით და უარყოფით კონტროლად.

აგარის ორმოების დიფუზიის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ბაქტერიული კულტურები ითესება Muller Hinton (სფX, ს.866) აგარის ნიადაგზე, რომელიც წინასწარ სტერილიზდება. დათესვა ხდება ფინჯანზე გაშლის ტექნიკის გამოყენებით. პეტრის ფინჯნებზე ნიადაგი გამყარებამდე ინახება სტერილურად. აგარზე ხდება 5მმ დიამეტრის ორმოების გაკეთება სტერილური მოწყობილობის (აგარის საჭრელის) დახმარებით და 50მლ სინჯის ხსნარს, რომელსაც სტანდარტული ანტიბიოტიკი და ბუფერი წარმოადგენენ, ამატებენ ორმოებში. შესაბამისად აყოვნებენ 37° C ტემპერატურაზე 18 საათის განმავლობაში. ანტიბაქტერიული ეფექტი ფასდებოდა ინჰიბირების ზონების დიამეტრების მიხედვით.

in vitro შეფასება ჩატარდა შტამების განსაზღვრული ნაკრების მიმართ. 2% BH აგარის ფინჯანზე გაკეთდა ე.წ. ბაქტერიული გაზონი - 1მლ ბაქტერიული კულტურა დატანილ და განაწილებულ იქნა მთლიან ფინჯანზე. ფინჯნის გაშრობის შემდეგ დაააქვთ 10 მკლ საკვლევი ობიექტი. ფინჯნები თავსდება თერმოსტატში 18-24სთ-ის განმავლობაში ინკუბაციისთვის.


ქ. ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში მძიმე მეტალების შემცველობის მონიტორინგ-ისათვის საკვლევი ტერიტორიების შერჩევა, „სფაგნუმის ჩანთების“ მომზადება და განთავსება

საკვლევი ტერიტორიაა ქ.ბათუმი. მისი ფართობია 6494,31 ჰექტარი. ზღვის-პირა აჭარა მოიცავს ვაკე-დაბლობებს და სუბტროპიკული ჰავისთვის დამახასიათებელი მაღალი თერმული რეჟიმით გამოირჩევა (საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°C, ზამთრის ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურა +6°C-ია). ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2 200 მმ, ხოლო ჰაერის სინოტივე 80 %-ია.

ქალაქი საქართველოს სახმელეთო და საზღვაო კარიბჭეა თავისი ღრმა საზღვაო პორტით, სარკინიგზო კვანძითა და მრეწველობის სხვა უნიკალური დარგებით. მოსახლეობის რაოდენობა – 180 ათასი.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება სწრაფი ურბანული განვითარება და ტურისტული ნაკადის მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებიან.

ქალაქში შეირჩა ტრანსპორტით გადატვირთული ოთხი უბანი, ესენია: თამარ მეფის გზატკეცილი (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, ვისოლის ავტოგასამართი სადგური), რომელიც გამოირჩევა ავტომობილების ინტენსიური გადაადგილებით, თუმცა მაღალია ვენტილაციით ხასიათდება ქალაქის ეს მონაკვეთი, ამასთან არ გამოირჩევა დასახლების სიმჭიდროვით (იხ. რუკა 2.).




რუკა 2. თამარ მეფის გამზირი GPS კოორდინატები 41.657354, 41.675861

მეორე ნიშნულში დამონტაჟდა გოგოლისა და ს.მესხის ქუჩის კვეთაში. ეს უბანი გამოირჩევა მჭიდროდ დასახლებით, მაღალია ავტომობილების გამავლობა, თუმცა შენობები დაბალსართულიანია (2-4 სართული), პირველ ობიექტთან შედარებით დაბალი ვენტილაცია აღინიშნება ამ ტერიტორიაზე (იხ.რუკა 3.).




რუკა 3. გოგოლის ქუჩა 36 GPS კოორდინატები 41.637128, 41.664204.

მესამე საკვლევი ობიექტია ტბელ აბუსერიძის ქუჩა, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, სადაც ავტოტრანსპორტის მაღალი გამავლობაა, ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს მაღალსართულიანი სახლების მშენებლობა, ვენტილაცია შეზღუდულია წინა ორ საკვლევ უბანთან შედარებით (იხ. რუკა 4).



რუკა 4. ტბელ აბუსერიძის ქუჩა GPS კოორდინატები: 41.639733, 41.622404

მეოთხე საკვლევი უბანი მდებარეობს ქ.ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ეს უბანი არ გამოირჩევა მაღალი შენობებით, თუმცა აქაც აღინიშნება მაღალი ავტოსატრანსპორტო მიმოსვლა (იხ. რუკა 5).



რუკა 5. კახაბრის ქუჩა GPS კოორდინატები 41.619797, 41.622720

ხავსის აღება ხდებოდა ქობულეთის აღკვეთილის სამხრეთით მდებარე ქ. ბათუმისგან 35 კმ დაშორებით სფაგნუმიანი ტორფნარებიდან, საკვლევი სეზონის მიხედვით, ყოველ სეზონზე (რუკა N6, სურ.N3).



რუკა 6. ისპანი 1 და 2 სახელმწიფო ნაკრძალი და მისი მიმდებარე ტერიტორია



სურ. 3. ხავსის ჩანთის დასამზადებლად შეგროვებული *Sphagnum papillosum*

ტორფნარიდან აღებული სფაგნუმის ხავსი გამდინარე წყლით გაირეცხა, გავაშრეთ ჩრდილში ამის შემდეგ მოვათავსეთ წინასწარ დამზადებულ პოლიეთილენის კონვერტებში.

პოლიეთილენის კონვერტები დამზადდა პოლიეთილენის ბადისგან 20X20 სმ ზომით, შეიკერა ოთხივე გვერდი. კონვერტებში მოთავსდა 5-5 გრამი გარეცხილი, მშრალი ხავსი. დამზადებული „სფაგნუმის ჩანთები“ განვათავსეთ T ფორმის სპეციალურ სადგამზე, რომელიც განვათავსეთ ქალაქის ტრანსპორტით გადატვირთულ წინასწარ შერჩეულ ოთხ უბანზე (თამარ მეფის გამზირი, გოგოლისა და მესხის ქუჩის კვეთა, ტბ. აბუსერიძის და კახაბრის ქუჩა). თითოეულ უბანზე განთავსდა „სფაგნუმის ჩანთის“ 5-5 ნიმუში (სურ. N4-6).




სურ. 4. საკვლევ ტერიტორიაზე დამონტაჟებული ეგრეთ წოდებული „სფაგნუმის ჩანთა“.




სურ.5. საკვლევ ობიექტზე დამონტაჟებული „სფაგნუმის ჩანთები“.

„სფაგნუმის ჩანთები“ - ს საკვლევ ტერიტორიებიდან აღება ხდებოდა 20 დღის შემდეგ. პოლიეთილენის ბადიდან გამოთავისუფლებული ხავსი ლაბორატორიულ პირობებში ოთახის ტემპერატურაზე შრებოდა ორი დღე ღამის განმავლობაში (სურ. N7, N8). ნიმუშები დაინომრა ობიექტების მიხედვით, შეიფუთა და გაიგზავნა ლაბორატორიაში შემდგომი კვლისთვის.



სურ.6. საკვლევ ტერიტორიაზე დამონტაჟებული „სფაგნუმის ჩანთები“.



სურ.7 . ლაბორატორიაში გადატანილი ნიმუშის გაშრობის პროცესი ოთახის ტემპერატურაზე.

შემდეგ, ხავსი შრებოდა საშრობ კარადაში (70 – 105°C ტემპერატურაზე) და ხდებოდა მშრალი ნედლეულის დაქუცმაცება ნაცრის მისაღებად.



სურ. 8. დაქუცმაცებული ნიმუშები საკვლევი ობიექტის მიხედვით

ნიმუშების მომზადება მაკრო და მიკრო ელემენტების (მათ შორის მძიმე მეტალების) განსაზღვრისათვის

Sphagnum Papillosum Lindb-ის და მისგან მომზადებული ე.წ. „სფაგნუმის ჩანთე-ბიდან“ ნიმუშები მაკრო და მიკროელემენტების შემცველობის განსაზღვრისათვის მოვამზადეთ ცნობილი მეთოდების (Adrian et al., 1973:14; Adrian et al., 1977:15). გამოყენებით, რომელთა მოდიფიცირება მოხდა საკვლევი ნიმუშების სპეციფიკის გათვალისწინებით.


იღებენ კვარცის ფიალებს და ამუშავებენ კონცენტრირებული ქლორწყალბადმჟავით, რომელსაც რამდენიმეჯერ გამოავლებენ გამოხდილი წყლით და აშრობენ მასობ კარადაში. ფიალებს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე და წონიან ჯერ როგორც ცარიელ ტარას შემდეგ კი საკვლევ ობიექტთან (*Sphagnum Papillosum Lindb*-ის და „სფაგნუმის ჩანთისგან“ აღებულ ნიმუშებთან) ერთად. აწონილ ფიალებს ნედლეულით დგამენ მუფელში და ახდენენ გამოწვას, დანაცრებას 4 საათის განმავლობაში. ღუმელის ტემპერატურა 70°C-დან 600°C-მდე იზრდება ეტაპობრივად. ტემპერატურაზე გაცივების შემდეგ ფიალებს წონიან და გამოითვლიან ნაცრის რაოდენობას პროცენტებში. შემდეგ თითოეულ ფიალაში არსებულ ნაცარს ხსნიან გაცხელებით 6 მლ 2 მოლარულ ქლორწყალბადმჟავაში აზოტმჟავასთან ერთად, გადააქვთ 25 მლ-იან მოცულობის გამზომ კოლბში და ხსნარის მოცულობა გამოხდილი წყლით აჰყავთ ჭდემდე. ზოგიერთი მეტალის მგრძობელობის გაზრდის მიზნით, ნიმუშის განზავება ხდება სპირტ-წყლიანი ნარევით (Boline & Schrenk et al., 1977:22).

მომზადებული ნიმუშების ანალიზი ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრზე (Welz et al., 2005:83; Welz et al., 2007:84; Welz et al., 2005:85). განსაზღვრის ცდომილება არ აღემატება 3%-ს.

საკვლევი პერიოდის (2016-2017 წწ) მეტეოროლოგიური პარამეტრები

უნდა აღინიშნოს, რომ „სფაგნუმის ჩანთით“ აქტიური ბიომონიტორინგის კვლევის პერიოდში, მნიშვნელოვანი ფაქტორია მეტეოროლოგიური პარამეტრები, კერძოდ ნალექიანობა და ტემპერატურა. მაღალი ნალექიანობის პირობებში ატმოსფეროდან ირეცხება ტოქსიკური ელემენტები.

საკვლევი პერიოდში: 2016 წლის ნოემბრის თვის საშუალო ნალექიანობა 40,81(მმ), t – 11,5 C°, 2017 წლის თებერვლისთვის – 5,5 (მმ) t - 13,8 C°, 2017 წლის მაისის თვის ნალექიანობა 74(მმ), t – 16,72 C°, 2017 წლის აგვისტოსთვის ნალექიანობა 56,96(მმ), t – 27 C° (იხ.დიაგრამა N1)



დიაგრამა 1. მეტეოროლოგიური პარამეტრების – საშუალო ნალექიანობისა და ტემპერატურის მონაცემები საკვლევი პერიოდისთვის.

შედეგების სტატისტიკური დამუშავება. კვლევის შედეგები დამუშავებულია სტატისტიკური პროგრამის - Sigma STAT-ის გამოყენებით. თითოეული ექსპერიმენტი ტარდებოდა მინიმუმ 3-ჯერ და ხდებოდა მიღებული შედეგების საშუალო მნიშვნელობებისა (Mean = M) და საშუალო სტანდარტული გადახრების (Standard Deviation =SD) გამოთვლა.

კვლევის ჩატარების ადგილი და პირობები. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სადოქტორო გრანტის: „კოლხეთის დაბლობის ტორფნარების სფაგნუმის სახეობების ეკოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა, ჰაერის დაჭუჭყიანების ბიოინდიკატორი და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები“ ფარგლებში სფაგნუმის სახეობების ქიმიურიშემადგენლობის განსაზღვრა მოხდა სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიაში.

სფაგნუმის სახეობების ეკოლოგიური, სისტემატიკური და მორფოლოგიური მახასიათებლების შესწავლა კი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბაზაზე. „სფაგნუმის ჩანთის“ მძიმემეტალების სპექტრის დადგენა მოხდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიის ბაზაზე.

თავი 3. კვლევის შედეგები და განხილვა

3.1 კოლხეთის დაბლობის გვარი სფაგნუმის სახეობების სისტემატიკური, ანატომიურ - მორფოლოგიური და ეკოლოგიური დახასიათება

სფაგნუმის სახეობების სწორ იდენტიფიცირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტორფნარის ეკოსისტემის თანასაზოგადოების დავამუშავეთ და დავაფიქსირეთ კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის გვარის 9 სახეობის თვისობრივი დახასიათებელი.

3.1.1 სექცია *Sphagnum L.*

კოლხეთის დაბლობის ცოცხალ სფაგნუმიან ტორფნარებში *Sphagnum L.* სექციის 5 სახეობაა გავრცელებული, ესენია: *Sphagnum austinii* Sull. *Sph. magellanicum* Brid, *Sph. palustre* L, *Sph. rubellum* Wilson., *Sph. papillosum* Lindb.

Sphagnum austinii. *Sphagnum austinii* (*Sphagnum imbricatum*) ტორფის წარმომქნელი ძირითადი სახეობა, გარემოს გაჭუჭყიანებისადმი ყველაზე მგრძობიარე სფაგნუმი (მაჭუტაძე და სხვ., 2009:2, კოლხეთის და სხვ., 2019:4), რომელიც მთელს მსოფლიოში იშვიათია. (Доктуровский и т.д., 1931:10, Kaffke et al., 2000:45). შემცირების მიზეზი ამისა არის: კლიმატის ცვლილება, დრენაჟი, ხანძრები, საქონლის ძოვება, ეუტროფიკაცია.

Sphagnum austinii – ის მორფოლოგიური აღწერა. მცენარეს ახასიათებს მკვრივი აგებულება (შედარებით პატარა განშტოებები ვიდრე *Sph.papillosum*-ს, ზოგჯერ ისეთი კომპაქტურობა ახასიათებს, რომ განშტოებები ერთმანეთს გადაფარავს. შეფერილობა ჩალისფერ–მომწვანოდან მოყვითალო–ყავისფერამდე ან წაბლისფერამდე მერყეობს, კომპაქტური ინდივიდების შეფერილობა მეწამულ–ყავისფერშიც კი გადადის.

აღწერილობა: ტიპიურად 4, ზოგჯერ 3 განშტოება, 2 დისტალურად, ხოლო 1–2 შედარებით მოკლე, დაშვებულია. ღერო: როგორც ამ სექციისთვისაა დამახასიათებელი, ქერქის (კორტექსის) შიდა ფენა მკაცრად ფიბრილიზებულია, გარე ფენასთან

შედარებით (გარე ფენა ნაკლებად ფიბრილურია). კორტიკალური უჯრედის გარე კედელს აქვს 2–3 ფორი.

განშტოების ანატომია: განივი განშტოება 15 მმ სიგრძისაა. იშვიათად აღემატება დაშვებულ განშტოებებს (12 მმ). ღეროს ფოთლები: მოკლე 1,5მმ, ენისებური ფორმის, კარგად აქვს ჰიალინური უჯრედები განვითარებული.



სურ. 9. *Sphagnum austinii* მიერ შექმნილი კომპაქტური ბალიში (ისპანი2)

სფაგნუმის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, მხოლოდ *Sph. papillosum* – ს შეუძლია წარმოქმნას *Sph. austinii*-ის მსგავსად მოყავისფრო ბორცვი, ბალიში (სურ.N9), თუმცა ის არის მომწვანო–მოყავისფრო. ბორცვს ახასიათებს გლუვი, მარტივი ზედაპირი და წვრილი და ფაქიზი ფოთლებიანი განშტოებები (Daniels et al., 1985:22). საველე მუშაობისას ზოგიერთ შემთხვევაში *Sphagnum austinii* Sull (*Sph. imbricatum* Russ), გარჩევა შეუიარაღებელი თვალით *Sphagnum papillosum*-გან რთულია, დაფიქსირებულია ამ ორი მსგავსი სახეობის განმასხვავებელი ნიშნები მიკროსკოპულ დონეზე, რის საფუძველზეც ხდება სახეობების იდენტიფიცირება. ამის ერთ ერთი მიზეზი ის არის, რომ ორივე სახეობა მონაწილეობს სფაგნუმის ე.წ. „ბალიშების“ ანუ სფაგნუმის გუმბათის წარმოქმნაში. ისინი არასოდეს იმყოფებიან

წყლიან გარემოსთან ერთად და მუდმივ მჭიდრო თანასაზოგადოებებს ქმნიან. რაც ამნელებს ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გარჩევას (სურ.N10, N11).



სურ. 10. *Sphagnum austinii* (ისპანი 2)



სურ. 11. *Sphagnum papillosum* (ისპანი 2)

ჩვეულებრივ შემთხვევაში, *Sphagnum austinii* და *Sphagnum papillosum* მორფოლოგიური თავისებურებებით მკვეთრად განსხვავებული სახეობებია (სურ.N12).



სურ. 12. *Sphagnum austinii* (მარცხნივ) და *Sphagnum papillosum* (მარჯვნივ) ჰაბიტუსი.

Sphagnum austinii–ის და *S. Papillosum* შდარებითი ანატომიური აღწერა. საველე ექსპედიციებისას, სახეობების ერთმანეთისგან გარჩევა ძირითადად ხდება მორფოლოგიური დათვალიერებით. სფაგნუმის სახეობების მორფოლოგიური ნიშნების დასათვალიერებლად ვიყენებთ ლუპას. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა სხვადასხვა სახეობა ერთმანეთს მორფოლოგიურად ემსგავსება და მათი გარჩევა შესაძლებელი ხდება ანატომიური თავისებურებებით. ზოგჯერ *Sph. Papillosum* დაბალი ტემპერატურისა და ნაკლები წყლის პირობებში მორფოლოგიურად ძალიან ემსგავსება *Sphagnum austinii*-ს, რის გამოც ძალიან ჭირს ამ ორი სახეობის ერთმანეთისგან გარჩევა. განსხვავების დაფიქსირება შესაძლებელია მხოლოდ მიკროსკოპული დათვალიერებისას. მიკროსკოპული დათვალიერებისას განშტოების ფოთლების ჰიალინური უჯრედების ფიბრილები უფრო ინტენსიურია *Sph. austinii* ვიდრე, *Sph. papillosum* –ში. *Sph. papillosum* და *Sph. austinii* შორის განსხვავება დაფუძნებულია ფიბრილების სიმაღლესა და ზომაზე. *Sph. Austinii* - ის ქლოროფილიანი უჯრედები უფრო ინტენსიურადაა შფერილი, ფიბრილები უფრო

მკვეთრი და არათანაბარი სიგრძისაა, ხოლო *Sph.papillosum*-ის ქლოროფილიანი უჯრედები უფრო ღია შეფერილობისაა და ფიბრილები კვეთს მთელს ჰიალინურ უჯრედს – თანაბარსიგრძიანია.

Sphagnum austinii განივი განშტოების ფოთლების (სურ.N13) ფორმა ლანცეტისებურია, აპექსისკენ შემოდრეკილია, აპექსი მკვეთრად წამახვილებულია, აპექსი ბოლოვდება ულვაშისებური უჯრედული წანაზარდებით (სურ.N17), რაც *Sph.papillosum* – ის არ გააჩნია (სურ.N16). *Sph.papillosum* განშტოების ფოთლის (სურ.N14) ფორმა ქვევრისებურია, ფოთლის ბაზალური ნაწილი უფრო განიერია, აპექსისკენ ვიწროვდება და შემოდრეკილია ფუძიდან წვერომდე.




სურ.13. *Sph. austinii* განივი განშტოების ფოთოლი




სურ. 14. *Sph.papillosum* განივი განშტოების ფოთოლი

თუ ამ ორი სახეობის განშტოების ფოთოლს ერთდროულად მოვათავსებთ სასაგნე მინაზე და დავაკვირდებით კარგად დავინახავთ, რომ ისინი განსხვავდებიან არა მარტო მორფოლოგიურად, არამედ ზომითაც (სურ. 15).



სურ.15. *Sph.imbricatum* და *Sph.papillosum* განივი განშტოების ფოთლები



სურ. 16 *Sph.papillosum* ფოთლის აპექსი სურ. 17. *Sphagnum austinii Sull. Imbricatum*

Sphagnum magellanicum Brid. ეს სახეობაც მიეკუთვნება Sphagnum სექციას და მონაწილეობს სფაგნუმის გუმბათის ჩამოყალიბებაში. კოლხეთის სფაგნუმთან ტორფნარებიდან მხოლოდ იმნათის ტორფნარზე იზრდება. მცენარე: ძლიერი

აგებულების, მაგრამ საკმაოდ მოკლეა ამ სექციის წარმომადგენლებთან შედარებით (ჰაბიტუსით სიმილარულია *Sph. papillosum*). შეფერილობა ღია მწვანეა (ხანდახან დაჰკრავს წითელი ან ვარდისფერი ელფერიც. ფასციკლი: შეიცავს უფრო ხშირად 4, ზოგიერთ შემთხვევაში 5 განშტოებას. განივი განშტოება ჩვეულებისამებრ 2-ია. დანარჩენი კი დაკიდებული განშტოებებია განივთან შედარებით გრძელი, თხელი და ღია შეფერილობის.

განშტოების ფოთოლი: ფორმა ენისმაგვარია, აკუმენის მიმართულებით, ბოლოები შემოდრეკილია, ფოთლის მესამედ ნაწილში. მათთვის დამახასიათებელია ნახევრადმახვილკუთხიანი ჰიალინური უჯრედები (სურ 18).



სურ. 18. *Sph. magelanicum*-ის განივი განშტოების ფოთოლი (ნახევრადმახვილკუთხიანი ჰიალინური უჯრედები)

ღერო: ამ სახეობისთვის დამახასიათებელია სუსტად ფიბრილიზებული , ან ფიბრილების გარეშე კორტექსი. კორტექსის თითო უჯრედი შეიცავს თითო ფორს. ცილინდრი მუქი იასამნისფერ-ყავისფერი ან მეწამულისფერია.


ჰაბიტატი: სახეობა ფართოდაა გავრცელებული ოლიგოტროფულ ტორფნარებში. ასოციაციას ქმნიან *Sph. papillosum* ან *Sph. capillifolium* ხალიჩის სახით ან ქმნის ბალიშებს გუმბათბუე. სახეობა უფრო მეტად სენსიტიურია დრენაჟისა და გამონაბოლქვის მიმართ ვიდრე, *Sph. papillosum*.

***Sph. capillifolium* (Ehrh.) Hedw. var *rubellum* Wilson.**

სფაგნუმის ეს სახეობა *Sphagnum austionii* და *Sphagnum papillosum*-თან ერთად ქმნის მჭიდრო თანასაზოგადეობებს და მონაწილეობს გუმბათის ჩამოყალიბებაში.

Sph. Capillifolium (სურ. N19, N20) დელიკატური აღნაგობისაა, სიმალე და კომპაქტურობა ვარირებს აბიოტური ფაქტორების მიხედვით, კარგად განვითარებული კაპიტულა შეფერილია ღია მწვანედ ან დასდევს წითელი, ფართე ზოლები. ფასციკლი: შდგება საკმაოდ ძლიერად განვითარებული დიმორფული განშტოებისგან, განივი განშტოება 2-ია შედარებით მოკლეა და უფრო მეტადაა შეფერილი, ვიდრე დაშვებული განშტოებები. ღერო: დაახლოებით 0,7მმ დიამეტრისაა, შედგება 3-4 შრისგან, ჰიალინური უჯრედები არ შეიცავს ფორებს, კარგად განვითარებული ცილინდრი შეფერილია ღია წითელი ზოლებით.

განშტოების ფოთოლი: ფორმა ლანცეტისებურია, დაკიდებული ღეროს ფოთოლი უფრო ვიწრო და გრძელია ვიდრე, განივი განშტოების ფოთოლი. ჰიალინური უჯრედები ძლიერ ფიბრილურია ფოთლის ზედა ნახევარში, ვიდრე ბაზალურ ნაწილში.



სურ.19. *Sphagnum capillifolium*- ის განშტოების აპექსი



სურ.20. *Sphagnum capillifolium*- ის განშტოების ფოთოლი



სურ. 21. *Sph. capillifolium* var. *Capillifolium* ჰაბიტუსი

Sph. capillifolium (სურ. N21, N22) ფართოდ გავრცელებული ტაქსონია, გვხვდება ამ სახეობის შეფერილობისა და მორფოლოგიური თავისებურებების ვარიაციები.

მცენარე: კაპიტულა არის ბრტყელი, მუქი წითელიდან ჟოლოსფერამდე ვარირებს მისი შეფერილობა. ფასციკლი: ისინი ღეროზე არ არის მჭიდროდ მიჯრილი. ღეროს ფოთოლი: ფორმით თითქმის მართკუთხაა, ახასიათებს სუსტი ფიბრილაცია, გვხვდება ფიბრილისგარეშეც. განშტოების ფოთოლი: ბასრად (წამახვილებული) გამოხატული აპექსით.

მიუხედავად იმისა რომ, ამ სახეობას ახასიათებს შეფერილობისა და კაპიტუსის დიდი ვარიაციები, მისი გამორჩევა სავსე სამუშაოებისას იოლად შეიძლება, შეფერილობით, გავრცელების არეალითა.



სურ. 22. *Sph. capillifolium* var. *rubellum* ისპანი 2-ის გუმბათზე

***Sphagnum palustre* L.**

Sphagnum palustre კოლხეთში (სურ. N23) ომბროტროფულ გარემოში იზრდება, მაშინ როცა ყველგან სხვაგან ის მინეროტროფული გარემოსთვისაა დამახასიათებელი (Daniels et al., 1985: 34, Krebs et al., 2007:46,).

Sphagnum paluste არ მონაწილეობს გუმბათის ჩამოყალიბებაში და იგი ტორფნარის განაპირასა, ჩაღრმავებებში, წყლის ზედაპირთან ახლოს.

მცენარე: ძლიერი აგებულიების, ჩვეულებრივ ღია მწვანე ან ყვითელი-მოყავისფრო, უფრო მკაფიო შეფერილობის კაპიტულუმით. მისი შეფერილობა მერყეობს ყავისფერიდან ჩალისფერ-ვარდისფერამდე, მაგრამ არასდროს წითელი. ზოგჯერ მთელი მცენარე მწვანეა (ნაკლები განათების პირობებში), კაპიტულუმი არ არის სხვაფერად შეფერილი. ფასციკლი: საკმაოდ დამორებული, თუმცა მრავალგანშტოებიანი, დიმორფული განშტოება 3-6, ხოლო, განივი განშტოება 2-3, დაშვებული განშტოება 1-4 შდარებით ღია შეფერილობისაა და უფრო თხელია, ვიდრე განივი განშტოებები. ღერო: სექციისთვის ტიპური ღერო, გარე კორტიკალური უჯრედებს

აქვს სპირალური ფიბრილები და 2-5 ფართო ფორები. შიდა ცილინდრი მუქი ყავისფერია.



სურ.23. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული *Sphagnum palustre* L. (მოყვანილია ერთი სახეობის შეფერილობის ვარიაცია)

განშტოება (სურ. N24, N25): 15-25მმ სიგრძის, მისი ფოთლების სიგრძე მერყეობს 1,5- 3 მმ მცენარის გავრცელების განათების თავისებურების შესაბამისად. რაც უფრო ნაკლები განათების პირობებშია მცენარე, მით დიდი განშტოების ფოთოლი ახასიათებს (3მმ). ფორმა ტიპური ქვევრისებური.



სურ. 24. *Sph. palustre*-ს განივი განშტოების კორტექსი და ფოთლის ანატომია

სურ. 25. *Sph. palustre*-ს განშტოება: ფოთლის მიმაგრება

ჰიალინური უჯრედები: მათი ზომა ცვლადია, მაგრამ სხვა სახეობისჰიალინურ უჯრედებთან შედარებულ განიერია (20-30 მიკრომეტრი).

ჰაბიტატი: ეს სახეობა ფართოდ არის გავრცელებული მეზოტროფულ ტორფნარებში, მაღალი მჟავიანობის პირობებში. ეს ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ჩრდილთან ტოლერანტია. კოლხეთის დაბლობზე ეს სახეობა გვხვდება თითქმის ყველა ტორფნარში (ჭურია, გრიგოლეთი, იმნათი, ისპანი 1 და ისპანი 2), არ არის გავრცელებული ნაბადას სფაგნუმთან ტორფნარზე.

3.1.2 სექცია *Cuspidata*

Sphagnum cuspidatum Ehrh.ex Hoffm.


მცენარე: ძირითადად საშუალო ზომისაა, ვარირებს ძალიან კომპაქტური ფორმიდან ფაშარ ფორმამდე. წარმოადგენენ თავისუფლად მცურავ წყლის ფორმებს. შეფერილობა მერყეობს მოყვითალო-მომწვანოდან ნარინჯისფრამდე, მაგრამ არასდროს გვხვდება წითელი ფერის (სურ.N26). ფასციკლი: შედგება 4-5, იშვიათად 3, მონომორფული გვერდითი განშტოებისგან. ღერო: კორტექსი 2-3 შრიანია, თხელკედლიანი უჯრედებით, ნაკლებადიფერენცირებული. განშტოების ფოთოლი: ვიწრო ლანცეტისებური ფოთლები ახასიათებს განივ განშტოებას, ზოგიერთ შემთხვევაში დაკიდებული განშტოების ფოთოლი ოვალურია. ჰიალინური უჯრედები: ვიწრო, ძლიერად ფიბრილური, ადაქსიალ ნაწილში რამოდენიმე (1-3) ფორით (სურ.N27,N28).



სურ. 26. *Sph. cuspidatum Ehrh.ex Hoffm.* (ისპანი 2)

ჰაბიტატი: წყლიანი, ოლიგოტროფული გარემო. მცურავ ან შეწონილ მდგომარეობაშია წყალში. იგი გავრცელებულია ომბოტროფულ გუმბათზე ან მჟავა ფენის ტიპის ტორფნარში. ასოციაციას ქმნის *Sph.recurvum* ფორმა *fallax* ან *Sph.papillosum*- თან.

კოლხეთის დაბლობის სფაგნუმისანი ტორფნარების ბუფერულ ზონაში არსებული ღია წყლების კიდეებზე ხშირად შევხვდებით *S.cuspidatum*- ს კერძოდ კი ისპანი 2-ის, ჭურისა და იმნათში, რომელიც ასოციაციას ქმნის *S.fallax*- თან.



სურ.27. *Sph. cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*
Hoffm. განივი განშტოების ფოთოლი



სურ. 28. *Sph. cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*
ჰიალინური უჯრედები

Sphagnum fallax

ეს სახეობაც მიეკუთვნება სექცია Cuspidata-ს. მცენარე: საშუალო ზომის მწვანე მდოგვისფერ-ყავისფერი, იზრდება ხალიჩისებურად. მამრობითი სქესის მცენარეს მუქი შეფერილობის კაპიტულა და განივი განშტოებები ახასიათებს. კაპიტულა ჩვეულებისამებრ, ნახევარსფერულ - ვარსკვლავისებურია. განშტოების ფოთლები: მკვეთრად გამოხატული სწორხაზოვანი ფორმისაა. განივი განშტოება და დაკიდული

განშტოება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. დაკიდებული განშტოება ღია შეფერილობისაა (თეთრი) და ფოთლები ისე მიჯრილი, რომ ღერო გადაფარულია და არის უფრო გრძელი ვიდრე განივი განშტოება. ღეროს ფოთოლი მეტნაკლებად ტრიანგულარულია. განშტოების ფოთოლი მშრალ პირობებში, ახასიათებს ფოთლის მოდრეკვა, დახვევა.



სურ. 29. *Sphagnum fallax* (იმნათის ტორფნარი)

ჰაბიტატი: ძირითადად ეს სახეობა გვხვდება ტორფნარების შედარებით მაღალი წყლის დონის პირობებში. მათ შორის ნუტრიენტებით ღარიბ გარემოშიც და ღია წყლის პირობებში, როგორც *Sph.cuspidatum*. კოლხეთის დაბლობზე ის გავრცელებულია ჭურია, იმნათი (სურ.N29), ისპანი2-ის ტორფნარებში და *Sph. fallax*-თან ქმნის ასოციაციას.

3.1.3 სექცია Subsecunda

Sphagnum denticulatum Brid.

მცენარე: საშუალო სიმაღლის, მსხვილი ფორმისაა, მწვანე შეფერილობის, თუმცა ევროპაში გვხვდება მოყვითალო-მოყავისფრო, სპილენძისფერი წითელი შეფერვაც. კაპიტულა მომრგვალებულია, განივი განშტოებები კაპიტულისკენ შედარებით დიდია და დახვეული. კაფსულები ხშირია. განშტოებაზე ფოთლები მჭიდროდაა მიჯრილი და გადაფარავს ღეროს. განშტოების ფოთოლი დიდი და

განიერია და იხსნება მხოლოდ აპექსის ნაწილში. ფასციკლი: 3-4 განშტოებისგან შედგება, მე-5 ვესტიგალური განშტოებაა.

ჰაბიტატი: ნუტრიენტებით ღარიბი, მაღალი მჟავე პირობების ტორფნარებში, და მაღალი ტენიანობის ადგილებში. კოლხეთის დაბლობზე ის გავრცელებულია ჭურის, იმნათის, ისპანი 2 და 1-ის ტორფნარებში.

3.2. ეკოლოგიური მახასიათებლების შესწავლა

კოლხეთის ტორფნარების ეკოლოგიური მახასიათებლების შესწავლის მიზნით შესწავლილი იქნა კოლხეთის სფაგნუმიანი ტორფნარების წყლის მჟავიანობა და ელექტროგამტარუნარიანობა. რისთვისაც გამოყენებული იქნა ხელსაწყო: (EC -Electric conductivity)

იმნათის ტორფნარზე პალიასტომის ტბის გადასახედი კომპიდან 300 მ-ში წყლის მჟავიანობის შესწავლამ აჩვენა, რომ ტორფნარში წყლის ზედა ფენებში pH მერყეობს 4.0-5.5 შორის. გაიზომა ასევე ელექტროგამტარუნარიანობა (EC -Electric conductivity) 70-100 სმ სიღრმეზე მერყეობს 40- 70 μS შორის. ორივე მაჩვენებელია ომბროტროფული გარემოსი. განისაზღვრა ასევე C/N შემცველობის დონე. ტორფნარში, 10 სმ სიღრმეზე ის მერყეობს 9.8-51.6 შორის, რომელიც ტორფნარის მეზოტროფულ და ოლიგოტროფულ გარემოზე მეტყველებს. იმნათის ტორფნარზე სფაგნუმის შემდეგი სახეობები ხარობს: *Sphagnum palustre*, *Sph. rubellum*, *Sph. magellanicum*, *Sph. austinii*, *Sph. Papillosum*.

გრიგოლეთის ტორფნარი. სფაგნუმის სახეობებიდან გვხვდება: *Sphagnum palustre*, *Sph. papilosum*. განისაზღვრა ტორფნარის pH რომელიც მერყეობს 4.26 – 5.65 შორის და ტორფნარის წყალში წყლის ელექტროგამტარუნარიანობა (EC) მერყეობს 22 – 134 $\mu\text{S cm}^{-1}$.


3.3 კოლხეთის დაბლობის პერკოლაციური ტიპის ტორფნარის სფაგნუმის სახეობების ქიმიური შედენილობის განსაზღვრა

განისაზღვრა მსოფლიოში უნიკალური, ხელუხლებელი, რელიქტური, პერკოლაციური ტიპის ტორფნარის, ისპანი 2-ის სფაგნუმის 5 სახეობის *Sphagnum palustre*, *Sph. papillosum*, *Sph. capilliifolium*, *Sph. austinii*, *Sph. cuspidatum* ქიმიური შედგენილობა. აღსანიშნავია ის, რომ შესწავლილი სახეობებიდან *Sph. Austinii* არის მსოფლიოში იშვიათი, ჰაერის გაჭუჭყიანების მიმართ სენსიტიური სახეობა (Allard, 2017:17), რომელიც შემოგვინახა ისპანი 2-მა. საკვლევი ობიექტების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა და კონსერვაციაზე ზრუნვა მეტად მნიშვნელოვანია სახეობების შენარჩუნებისთვის.

სახეობებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა განხორციელდა გაზური ქრომატოგრაფია-მასსპექტრომეტრიის გამოყენებით (GC-MS/MS). აღმოჩნდა, რომ სფაგნუმი შეიცავს ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, როგორცაა: ესტერები - პალმიტინის მჟავა, ოლეინის მჟავა, ნახშირწყლები - გლუკოფურანოზა, რიბოფურანოზა და ფენოლური ნაერთები.

ჩვენს მიერ შესწავლილ სფაგნუმის 5 სახეობაში (*Sphagnum austinii* Sull. (*Sphagnum imbricatum* ssp. *Austinii*), *Sph. papillosum* Lindb., *Sph. palustre* L., *Sph. cuspidatum* Ehrh.ex Hoffm., *Sph. rubellum* Wilson.) გამოვლინდა 16 ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება. შესწავლილ ობიექტებში დაფიქსირდა გამოვლენილ ნივთიერებათა სპექტრის თვისობრივი განსხვავება (იხ. დიაგრამა 2). ესტერი Cis-9-Octadecenoil Acid – ოლეინის მჟავა, შეკავების დრო 12,53 და Cis-9-Palmitoleic Acid – პალმიტინის მჟავა, შეკავების დრო 11,67 (იხ. ცხრილი 2, დიაგრამა 4) და ასევე, Dimethyl 1,4-cyclohexanedicarboxylate, შეკავების დრო 10,32 გამოვლინდა ხუთივე სახეობაში (იხ. ცხრილი 2).

ფენოლური ნაერთი – Methyl 4-O-benzyl-beta-D-xylopiranoside დაფიქსირდა მხოლოდ N4 ნიმუშში, შეკავების დრო 11,16 (იხ. ცხრილი 2 და დიაგრამა 3). ხოლო, პოლოსაქარიდი 1,2- Benzenedicarboxylic acid გამოვლინდა ხუთივე ნიმუშში შეკავების დრო 9,5 (იხ. დიაგრამა 2). პოლოსაქარიდი Alpha-D-glucopyranoside შეკავების დრო 14,36 გამოვლინდა ხუთივე სახეობაში (იხ. დიაგრამა 5).




დიაგრამა 2. *Sphagnum L.* (ნიმუში Sphagnum 1 შეესაბამება *Sph.rubelum-ს*, sphagnum 2 – *Sph.papillosum-ს*, sphagnum 3 – *Sph.palustre-ს*, sphagnum 4 – *Sph.cuspidatum-ს* და sphagnum 5 – *Sph.imbricatum-ს*) ხავსის გაზური ქრომატოგრაფიით (GC-MS/MS) გამოვლენილი ნივთიერებათა სპექტრი. დიაგრამაზე მოცემული ციფრები აღწერს ცხრილი 2 ჩამოთვლილი ნივთიერებების შეკავების დროს.

ცხრილი N2

გაზური ქრომატოგრაფიით (GC-MS/MS) სფაგნუმის სახეობებში გამოვლენილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები

	შეკვების დრო	ქიმიური დასახელება	საერთო დასახელება	მოლეკულური წონა
1	8,32	Malic acid	ვაშლის მჟავა	134,08744
2	9,5	1,2- Benzenedicarboxylic acid	ფტალის მჟავა	166.13084
3	10,32	Dimethyl 1.4-cyclohexanedicorboxylate	ბიდრინ	200,23
4	10,53	Glucofuranosa	გლუკოფურანოზა	220.21974
5	10.62	Myristic acid	ტეტრადეკანის მჟავა	228.37
6	10.88	D-xylose	ხის შაქარი	150.1299
7	11.16	Methyl 4-O-benzyl-beta-D-xylopiranoside	რიბოფურანოზა	254.27
8	11,24	Ascorbic Acid	Vit-C	176.12412
9	11.67	Cis-9-Palmitoleic Acid	პალმიტინის მჟავა	326
10	12,53	Cis-9- Octadecenoil Acid	ოლეის მჟავა	282,46136
11	13,93	3-O-Alpha-D-glucopyranosyl-D-fructose	ტურანოზა	342,29648
12	14,0	Arabinose	არაბინოზა	150,1299
13	14,23	Glycerol-3-palmitate	მონოპალმიტინის მჟავა	330,50262
14	14,36	Alpha-D-glucopyranoside	გლუკოპირანოზა	918
15	14.35	Ribitol	რიბიტოლი	152,14578
16	16.55	1-(4-Methyl-6-methoxy-2-quinoly)1'-phenyl-3,3'-dimethyl-(4,5'-bipyrazol)-5-ol		425




Name: Methyl 2-O-benzyl- α -D-xylopyranoside

Formula: $C_{13}H_{18}O_5$

MW: 254

დიაგრამა 3. გაზური ქრომატოგრაფიით (GC-MS/MS) *Sphagnum cuspidatum* გამოვლენილი Methyl 2-O-benzyl- α -D-xylopyranoside ფენოლური ნაერთი.




Name: Palmitelaidic acid, trimethylsilyl ester

Formula: $C_{19}H_{38}O_2Si$

MW: 326

დიაგრამა 4. გაზური ქრომატოგრაფიით (GC-MS/MS) პერკოლაციური ტიპის სფაგნუმის სახეობებში გამოვლენილი ესტერი Cis-9-Palmitoleic Acid.



Name: [α-D-Glucopyranoside](#)

Formula: $C_{36}H_{86}O_{11}Si_8$

MW: 918

დიაგრამა 5. გაზური ქრომატოგრაფიით (GC-MS/MS) პერკოლაციური ტიპის ტორფნარების სფაგნუმის სახეობებში გამოვლენილი Alpha-D-glucopyranoside პოლისაქარიდი.

3.4 სფაგნუმის ზოგიერთი სახეობის ანტიბაქტერიული მოქმედების შესწავლა

ჩატარდა სფაგნუმის 5 საკვლევი სახეობის (*Sphagnum austini* Sull. (*Sphagnum imbricatum* ssp. *Austinii*), *Sph. papulosum* Lindb., *Sph. palustre* L., *Sph. cuspidatum* Ehrh.ex Hoffm., *Sph. rubellum* Wilson.) წყლიანი ექსტრაქტის, წვენის და პოლისაქარიდების კვლევა ანტიბაქტერიულ მოქმედებაზე. კვლევის შედეგები მოცემულია N3 ცხრილში.

საკვლევი ობიექტების ანტიბაქტერიული მოქმედების განსაზღვრის შედეგები

შტამი	საკვლევი ნიმუშის N														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
<i>Streptococcus pyogenes</i>	-	-	-	-	-	2+	-	-	-	-	-	-	2+	-	-
<i>Escherichia coli</i>	-	-	-	1+	-	-	-	-	2+	-	-	1+	2+	-	-
<i>Enterobacter cloacae</i>	-	-	1+	-	-	1+	1+	-	-	-	-	-	-	-	-
<i>Salmonella typhimurium</i>	4+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3+	-	-
<i>Klebsiella pneumoniae</i>	-	-	-	-	-	-	1+	-	-	-	-	-	-	-	-
<i>Proteus vulgaris</i>	4+	3+	4+	2+	1+	1+	3+	-	4+	2+	-	-	2+	1+	1+
<i>Shigella flexneri</i>	4+	-	-	4+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
<i>Enterococcus faecalis</i>	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1+	-	-	-	1+
<i>Staphylococcus aureus</i>	4+	3+	2+	2+	2+	1+	4+	3+	3+	3+	-	1+	2+	2+	1+
<i>Pseudomonas aeruginosa</i>	-	-	1+	-	-	-	1+	-	-	-	-	-	-	-	-

შენიშვნა: 1. *Sphagnum papillosum Lindb.* -ის წყლიანი ექსტრაქტი, 2. *Sphagnum papillosum Lindb.* -ის წვენი, 3. *Sphagnum papillosum Lindb.* -ის პოლისაქარიდები, 4. *Sphagnum austinii Sull.*-ის წყლიანი ექსტრაქტი, 5. *Sphagnum austinii Sull.*-ის წვენი, 6. *Sphagnum austinii Sull.*-ის პოლისაქარიდები, 7. *Sphagnum palustre L.*-ის წყლიანი ექსტრაქტი, 8. *Sphagnum palustre L.*-ის წვენი, 9. *Sphagnum palustre L.*-ის პოლისაქარიდები, 10. *Sph.cuspidatum Ehrh.ex Hoffm.* -ის წყლიანი ექსტრაქტი, 11. *Sph.cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*-ის წვენი, 12. *Sph.cuspidatum Ehrh.ex Hoffm.*-ის

პოლისაქარიდები, 13. *Sph. rubellum Wilson*-ის წყლიანი ექსტრაქტი, 14. *Sph. rubellum Wilson*-ის წვენი, 15. *Sph. rubellum Wilson*-ის პოლისაქარიდები.

N2 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თითქმის ყველა საკვლევ ობიექტს აღმოაჩნდა მეტ-ნაკლებად გამოხატული მოქმედება *Proteus vulgaris* და *Staphylococcus aureus* ბაქტერიული შტამების მიმართ.

საკვლევ ობიექტებიდან, გამოყენებული ბაქტერიული შტამების მიმართ, საკმაოდ ფართო სპექტრის და იმავდროულად გამოხატული ბაქტერიციდული მოქმედება გააჩნია *Sphagnum papillosum Lindb.*-ის წყლიან ექსტრაქტს.

ანტიბაქტერიულ მოქმედებაზე შესწავლის შედეგები ნათელს ხდის სფაგნუმის სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივას.

3.5 ჰაერის მძიმე მეტალებით დაჭუჭყიანების მონიტორინგი ბიომონიტორინგის - „სფაგნუმის ჩანთის“ გამოყენებით

3.5.1 „სფაგნუმის ჩანთებით“ კ. ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში მძიმე მეტალების შემცველობის მონიტორინგი

თეთრი ხავსი - გვარი *Sphagnum L.* გამოირჩევა მაღალი ადსორბციის უნარით, რაც განპირობებულია ხავსის უჯრედის კედელში არსებული ფენოლური ნაერთის უნარით დაიკავშიროს სხვადასხვა მეტალის იონები და გამოათავისუფლოს წყალბადის (H⁺) იონები. ხავსის ეს თავისებურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს შორის ჩართოს მეტალები ბიოგეოქიმიურ ციკლში (Gonzalez et al., 2014:9). სწორედ ეს თვისება უდევს საფუძვლად აქტიურ ბიომონიტორინგში თეთრი ხავსის გვარი *Sphagnum L.*-ის გამოყენებას.

ტორფის ანუ *Sphagnum L.*-ის სახეობებს 1976 წლიდან (როგორც ხავსებს შორის ყველაზე კარგ აბსორბენტს) იყენებდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის, შექმნეს და გამოიყენეს ეგრეთწოდებული ხავსის ჩანთა (moss bag) (Culicov et al., 2016:32). ასევე, 1980 წელს შვედეთის ინიციატივით დაარსდა ხავსებით მძიმე მეტალების ბიომონიტორინგის ქსელი. ამ ქსელში 2010/2011 წლის მონაცემებით 25 ევროპის ქვეყანა და 4500 საიტია ჩართული.

დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ბიომონიტორინგი სფაგნუმის გამოყენებით მთელს მსოფლიოში ქალაქების ატმოსფეროში მძიმე მეტალების სპექტრის გამოსავლენად. ეს მეთოდი ბევრად პრაქტიკული და იაფი საშუალებაა, აღნიშნული პრობლემის გამოსავლენად.

ვინაიდან კოლხეთის დაბლობი მდიდარია სფაგნუმისანი ტორფნარებით, აქ გავრცელებული სფაგნუმის 9 სახეობიდან ყველაზე მეტად მასიურია *Sphagnum papillosum*, სწორედ ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ აღნიშნული სახეობა სფაგნუმის ჩანთის დასამზადებლად.

2016 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში ჩვენ მიერ წარდგენილმა თემამ „კოლხეთის დაბლობის ტორფნარების სფაგნუმის სახეობების ეკოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა, ჰაერის დაჭუჭყიანების ბიონდიკატორი და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები“, მოიპოვა საგრანტო დაფინანსება (ხელშეკრულება **NPhDF2016_157**). საგრანტო პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სფაგნუმის სახეობების გამოყენება ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების (მძიმე მეტალების) ბიონდიკატორებად. ამ მიზნით დამზადდა „სფაგნუმის ჩანთა“ და განთავსდა ტრანსპორტით გადატვირთულ უბნებში. ქ.ბათუმის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, ჩატარდა შედარებითი ანალიზი სფაგნუმის გავრცელების ბუნებრივ გარემოში მძიმე მეტალების შემცველობასა და საცდელ ტერიტორიაზე აღებულ ნიმუშებს შორის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კვლევები ჩატარდა სეზონურად, მძიმე მეტალების შემცველობის დასადგენად ატმოსფერულ ჰაერში ბიონდიკატორის - „სფაგნუმის ჩანთის„ გამოყენებით. კვლევა მოიცავდა 2016 წლის ნოემბრიდან - 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდს.

3.5.2. ქ.ბათუმის ბიომონიტორინგის კვლევის შედეგები

2016 წლის 2 ნოემბერს წინასწარ შერჩეულ ოთხ საკვლევ უბანზე დამონტაჟდა „სფაგნუმის ჩანთები“ და 17 ნოემბერს ჩამოიხსნა, შეიფუთა და მომზადდა ნიმუშები შემდგომი ლაბორატორიული კვლევისთვის. ოთხივე უბნიდან აღებულ ნიმუშებზე

ჩატარდა ატომურ აბსორბციული კვლევა (აას) 36 მძიმე მეტალზე, ნიმუშებში გამოვლინდა სხვადასხვა მძიმე მეტალების სპექტრი, უბნისა და სეზონის მიხედვით.

3.5.2.1 2016 წლის შემოდგომის კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნოემბრის თვეში გოგოლის ქუჩაზე დამონტაჟებულ სფაგნუმის ჩანთის ნიმუში არ შეიცავდა შემდეგ 8 მძიმე მეტალს: As, Sr, Mo, Sn, Sb, Ba, Ta, Pt. მაღალი შემცველობა დაფიქსირდა შემდეგი მეტალების : Mg, Al, Si, P, S, K, Ca, Ti, Cr, Mn, Fe, Ni, Cu, Zn, Zr, Ag, Pb. უნდა აღინიშნოს რომ გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ დასახელებულ 3 ყველაზე ტოქსიკურ ელემენტიდან დაფიქსირდა საყურადღებო კონცენტრაცია ნიმუშში – კადმიუმი(Cd) 2.33 (მკგ/მლ) და ვერცხლისწყალი (Hg) 6.64 (მკგ/მლ) და ტყვია Pb 8.25398 (მკგ/მლ), მაღალი ტოქსიკურობითა და კანცეროგენული თვისებებით ხასიათდება ქრომი (Cr) (Tchounwou et al., 2001:12), რომლის მაჩვენებელი ნიმუშში 1.7324 (მკგ/მლ) (იხ. ცხრილი N4 და დიაგრამა N6). N4 ცხრილში შედარებისათვის ასევე მოცემულია საკვლევი მძიმე მეტალების ანალიზის შედეგები სფაგნუმის ჩანთის საწყის ნედლეულში - *Sph. Papillosum Lindb.* - ში.

ცხრილი N4

გოგოლის ქუჩაზე განთავსებული „სფაგნუმის ჩანთების“ და *Sphagnum Papillosum Lindb.* ანალიზის შედეგები (2016 წლის ნოემბერი)

ელემენტების დასახელება	ნიმუშის დასახელება		
	<i>Sph. Papillosum Lindb.</i>	„სფაგნუმის ჩანთა“, 20.11.16	
ნაკადი		150 (µA)	
ელემენტი	%-ში	ინტენსივობა (მკგ/მლ)	%-ში
Mg	0.09123	12.15	1.31012
Al	0.09865	25.05	1.016039
Si	3.33335	386.15	6.49371
P	0.13564	45.02	0.21922
S	1.02054	114.61	1.57203
K	2.90243	549.83129	4.50258
Ca	4.51141	861.75	6.85041
Ti	0.01895	8.28889	0.020534
V	-	0.59966	-
Cr	0.00014	1.7324	0.0115
Mn	0.16346	25.49034	0.5285
Fe	2.15161	469.32176	2.87001
Co	-	2.13394	-

Ni	0.00532	2.07586	0.00661
Cu	0.02512	21.40651	0.0261
Zn	0.13027	72.42371	0.25331
As	-	-	-
Zr	0.01038	24.32611	0.01432
Sr	-	-	-
Nb	-	1.04094	-
Mo	-	-	-
Ag	-	2.99841	-
Cd	-	2.33	-
Sn	-	6.48	-
Sb	-	-	-
W	-	2.68817	-
Au	-	1.21736	-
Pb	0.00011	11.51203	0.02334
Ba	-	0.48	-
Hf	-	-	-
Ta	-	-	-
Hg	-	6.64	-
Bi	-	0.01	-
Th	-	1.19	-
U	-	2.81	-
Pt	-	-	-

ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან აღებული სფაგნუმის ჩანთების ატომურ აბსორბციული კვლევისას აღმოჩნდა, რომ შესწავლილი მძიმე მეტალების სპექტრიდან 17 არ გამოვლენილა, მათ შორის არის მაღალი ტოქსიკურობით გამორჩეული Cd და Hg. თუმცა, გოგოლის ქუჩასთან შედარებით აქ დაფიქსირდა Pb (10.46483 მკგ/მლ) და Cr (2.98128 მკგ/მლ) უფრო მაღალი შემცველობა (იხ. ცხრილი N5 და დიაგრამა N6). ტბელ აბუსერიძის ქუჩა გამოირჩევა მაღალსართულიანი შენობებით, ავტოტრანსპორტის მაღალი გამავლობით, ვენტილაციის დაბალი მაჩვენებლით რამაც განაპირობა ამ უბანში ტყვიისა და ქრომის ნიმუშში აკუმულირება შედარებით მაღალი კონცენტრაციით.

ცხრილი N5

ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებული „სფაგნუმის ჩანთების“ ანალიზის შედეგები
(2016 წლის ნოემბერი)

ელემენტების დასახელება	ტბ. აბუსერიძის ქ. 20.11.16	
ნაკადი	150 (μA)	
ელემენტი	ინტენსივობა (მკგ/მლ)	%-ში
Mg	7.58273	0.80389
Al	24.51883	1.13473
Si	383.8782	6.47472

P	20.39734	0.07101
S	76.88768	1.0389
K	112.41237	0.90152
Ca	1145.70245	9.85005
Ti	10.44676	0.2703
V	1.30535	-
Cr	2.98128	0.02494
Mn	27.72905	0.54338
Fe	627.96027	3.78859
Co	4.15372	-
Ni	5.13411	0.04135
Cu	24.5052	0.05078
Zn	128.35247	0.52758
As	-	-
Zr	25.76621	0.01528
Sr	-	-
Nb	3.32539	-
Mo	-	-
Ag	25.695	0.06662
Cd	3	-
Sn	1.66	-
Sb	0.39	-
W	2.39621	-
Au	1.41265	-
Pb	10.46483	0.01926
Ba	0.25	-
Hf	2.18864	-
Ta	-	-
Hg	3.71	-
Bi	0.07	-
Th	0.54	-
U	0.84	-
Pt	-	-

თამარ მეფის გამზირზე დამონტაჟებული ნიმუშების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ოთხი ყველაზე ტოქსიკური ელემენტის შემდეგი შემცველობა: Cd 3,43 (მკგ/მლ), Hg 4,27 (მკგ/მლ) Pb 8,58129(მკგ/მლ) Cr 1,45691(მკგ/მლ), თუმცა Cd 3,43 (მკგ/მლ) და Hg 4,27(მკგ/მლ) შემცველობა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი პროცენტული მნიშვნელობა ნულის ტოლია. ხოლო Pb 8,58129(მკგ/მლ) შემცველობა ნაკლებია ტბ.აბუსერიძის და გოგოლის ქუჩის ნიმუშებში გამოვლენილ, მაჩვენებელზე. Cr 1,45691(მკგ/მლ) შემცველობაც ჩამორჩება ტბ.აბუსერიძის და გოგოლის ქუჩის ნიმუშების ანალიზის შედეგს (იხ.ცხრილი N6 და დიაგრამა N6).

უნდა აღინიშნოს, რომ თამარ მეფის გამზირი ხასიათდება მაღალი ვენტელაციით, და ნიმუშების დამონტაჟების უბანში არ არის მაღალსართულიანი

შენიშვნები. რაც ხელისშემშლელი ფაქტორია მტვრის და გამონაბოლქვის დასაგროვებლად.

ცხრილი N6

თამარ მეფის გამზირზე განთავსებული „სფაგნუმის ჩანთების“ ანალიზის შედეგები (2016 წლის ნოემბერი)

ელემენტების დასახელება	თამარ მეფის გამზ. 20.11.16	
ნაკადი	150 (μA)	
ელემენტი	ინტენსივობა (მკგ/მლ)	%-ში
Mg	12.82	1.38
Al	31.32	1.46334
Si	436.17	7.05388
P	24.38	0.09135
S	64.6	0.86523
K	140.30637	1.10202
Ca	1656.54	15.64724
Ti	10.04552	0.25822
V	1.87537	-
Cr	1.45691	0.00854
Mn	26.59321	0.53583
Fe	795.45773	4.84127
Co	5.75837	0.00277
Ni	2.9255	0.01626
Cu	22.91152	0.03824
Zn	108.43052	0.42954
As	-	-
Zr	40.97229	0.02546
Sr	-	-
Nb	1.2774	-
Mo	-	-
Ag	13.20702	0.02685
Cd	3.43	-
Sn	-	-
Sb	1.78	0.00178
W	1.86786	-
Au	1.69002	-
Pb	8.58129	0.0143
Ba	-	-
Hf	1.98453	-
Ta	-	-
Hg	4.27	-
Bi	0.27	-
Th	0.58	-
U	1.12	-
Pt	-	-

კახაბრის ქუჩიდან აღებულ ნიმუშებში დაფიქსირდა შემდეგი მძიმე მეტალების სპექტრი Mg, Al, Si, P, S, K, Ca, Ti, Cr, Mn, Fe, Ni, Cu, Zn, Zr, Ag, Pb (ცხრილი N7 და დიაგრამა N6). მიუხედავად იმისა რომ, ეს უბანი ხასიათდება


